№ 195. ორშაბათი 24 ნოემბერი 1914 წ.

წელიწადი მეოთხე.

ფასი გაზეთისა: წლიურად 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით—1 მ. 25 კ. საზღვარ-გარედ ორჯერ მეტი.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ., ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

# თემი

№ 195. ორშაბათი 24 ნოემბერი 1914 წ.

წელიწადი მეოთხე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს.

რედაქციის კონტორის ბინა: ოლგას ქ., სახლი დიასამიძისა, № 4.

ტელეფონი 6—60.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით.

## ახალი კლუბი

ორშაბათს 24 ნოემბერს

## საოჯახო საღამო

აჩვენებენ სინემატოგრაფის საშუალებით სხვა და სხვა სურათებს

ოთხშაბათს, 26 ნოემბერს სინემატოგრაფი

პარასკევს 28 ნოემ. სინემატოგრაფით აჩვენებენ სხვადასხვა სურათებს.

## არტისტიული საზოგადოების თეატრი.

ოთხშაბათს 26 ნოემბერს 1914 წ.

ბენეფისი ვასო აბაშიძესი

თბილისის ქართ. დრამატ. დასის ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

## მზის დაბნელება საქართველოში.

ორიგინალური კომედია 3 მოქმ., თხზ. ზ. ანტონოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ:

ქ-ნნი: ბეგანიშვილი, თოიძე, კახიანი მამულაშვილი, ეფ. მესხი, პიერეტა, რომანიშვილი, რუისპირელი, ქიქოძე, ქოდალაშვილი, შოთაძე, ჩერქეზიშვილი. ჩხეიძე და სხვ. ბ-ნნი: ვასო აბაშიძე, გომელაური. ვარვარიძე, ზარდალიშვილი, ივერელი, იმედაშვილი, კორიშელი, კობახიძე, რომანიშვილი, ნინიძე, სარაული, ფრონისპირელი, ყალაბეგიშვილი, შანშიაშვილი, ჭიაურელი, ქორელი, თარხნიშვილი და სხვ.

წარმოდგენის დასაწყისი სად. 8 საათზე. ადგილების ფასი დაკლებულია.

ბილეთები დღეიდანვე იყიდება თეატრის კასაში. რეჟისორი ალ. წუწუნავა.

მოიკითხეთ ყველა მეგაზეთეებთან თბილისში, გაზეთი

## „ახალი ქართლი“

გამოდის ქ. გორში, კვირაში ორჯერ—ხუთშაბათობით და კვირაობით.

ცალკე ნომერი ერთი შაური.

დაკვეთით წლის დამლევამდე ერთი მანეთი. ხელის მოწერა მიიღება: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში და გაზეთის თბილისელ აგენტთან ვიქ. მექანარიშვილთან, დუშეთის ქ. № 21.

მისის იმპერატორებითი უდიდებულესობის

## დედოფალ ალექსანდრეს თეოდ. ასულს თბილისის საწყობი

ღებულობს ყოველგვარ შემოწირულებას ომით გამოწვეულ საჭიროებათათვის თეთრეულის მასალას, შეკერილ თეთრეულს, ფულს, თბილ საცვალს და ტანისამოსს, წამლებს, წყლულის შესახვევ მასალას (მარლს ბინტისათვის) და სანოვაგეს (ჩაი, შაქარი, ყავა, ყავა, კაკაო, შოკოლადი, თამბაქო და სხვა).

ვინც იკისრებს უსასყიდლოთ შეკერვას თეთრეულისას ან სხვა ნივთებისას, კეთილ ინებონ და საწყობში მობრძანდნენ ყოველდღე (კვირა უქმის გარდა) დილის 11 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

იმავე დროს მიიცემა სახლში წასაღები მასალა და მიიღება შემოწირულება.

შემოწირულების რაოდენობას ნურავინ დაერიდება. ყოველგვარი შემოწირულება მადლობით მიიღება. ყველაფერი მეტად საჭიროა განსაკუთრებით თეთრეულები და წყლულის შესახვევი მასალა (მარლი). საწყობი მოთავსებულია მეფის მოადგილის სასახლეში.

მის უდიდებულესობის თბილისის საწყობში ფულით შეწირულების შეტანა შეიძლება თბილისის ვაჭართა ბანკში საწყობის მიმდინარე ანგარიშზე № 394 ნომრით ყოველდღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, კვირა-უქმეს გარდა.

## „ნ. ი. ბოზარჯიანცისა და ამ.“

სავაჭრო სახლისაგან

## თუთუნის მწეველთა საყურადღებოდ

რათგანაც მოვაჭრეებს ჩვეულებრივ ფასზე ნაკლებს ვუკლებთ და სათადარიგოდ თამბაქოც დიდძალი გვაქვს, ამისათვის შესაძლებლად ვცანით, სააქციზო ხარჯის მომატების მიუხედავად, ისევ ისეთივე მაღალი ღირსების თუთუნი ვიქონიოთ, როგორიც გვქონდა. მხოლოდ ზოგიერთ უმაღლეს ღირსების თუთუნს მოვუმატეთ მცირე რამ და მესამე ხარისხის „სასუნ“ და ნაროდნი“-დაც.

ზოგიერთი წვრილად მოვაჭრე კი შემთხვევით სარგებლობენ და თავისი ინტერესების გულისათვის ბოროტად გამოიყენეს ეს გარემოება და ჩვენი ფირმის პაპიროსებს აღიშნულ ღირებულებაზე უფრო ძვირად ჰყიდიან.

თამბაქოს მწეველთა უზრუნველსაყოფად ასეთ უკადრის შემთხვევათაგან გთხოვთ მხედველობაში იქონიოთ, რომ ქვემოდ მოხსენებული პაპიროსების ფასი ძველივე დარჩა:

| | | |
|---|---|---|
| „სიმპატია“ | 10 ც. | 6 კ. |
| „სიმპატია“ | 25 „ | 15 „ |
| „სუდებნია“ | 25 „ | 15 „ |
| № 8 | 10 „ | 6 „ |
| დრუჟბა“ და „ტოვარიშჩ“ | 20 „ | 6 „ |
| „მეჩტა“ | 25 „ | 10 „ |
| „მეჩტა“ | 15 „ | 6 „ |
| „ივან და მარია“ და „აერო“ | 25 „ | 15 „ |
| „სიმპატია“ | 10 „ | 10 „ |

სწორედ ამ ფასებში უნდა ჰყიდონ წვრილად მოვაჭრეთ ზემოაღნიშნული პაპიროსები.

სრული პატივისცემით

სავაჭ. სახ. „ნ. ი. ბოზარჯიანცისა და ამ.“

### თბილისი, 24 ნოემბერი.

ჩვენ ამ რამდენიმე კვირის წინად ვსწერდით: „დავეკითხოთ ჩვენს თავს — რას ვაკეთებთ იმ დროს, როდესაც საშიში და უცნაური ამბები მოისმის ქართველ სამაჰმადიანოდან? ნუ თუ არ უნდა მივხედოთ უმწეოდ დარჩენილ კუთხეს, არ უნდა მივაწოდოთ ჩვენი პოლიტიკური გონიერების ნაკარნახევი?“ იმავე დღეს მეორე წერილში ჩვენ ვამბობდით: „ლაზისტანის და საზოგადოდ ქართველ სამაჰმადიანოს შემოერთება უნდა გახდეს დღეის ლოზუნგად ქართველ ინტელიგენციისათვის. დღეს ეს მხარე უმწეოდ არის დარჩენილი. ვინ იცის ამ ჟამად რამდენი უსიამოვნება ხვდებათ, რამდენი პროვოკატორული შემთხვევა უჩნდებათ!... ყველა ამისათვის მრჩეველი და დამრიგებელი სჭირდება ქართველ მაჰმადიანებს. საუბედუროდ ზოგიერთი ერთგული მოღვაწენი ჩამოშორდენ მათდა უნებურად ამ ძვირფასს მხარეს და აღარავინ არის აქეთკენ მოსარჩილე და ქომაგი. ქართველი ინტელიგენციის ვალია მიხედოს მათ ამ გასაჭირ და ვაგლახ დროს და შველა რამე აღმოუჩინოს, რომ ზარალი არა მოუვიდეთ რა“. ვსწერდით ამას და საჭიროდ ვთვლიდით კრება გამოგვეთხოვა მთავრობისათვის ზემოაღნიშნულ სამწუხარო მოვლენის ასაშორებელ ზომების შესამუშავებლად და ერთსულოვნობის შესაქმნელად.

მაგრამ ჩვენში, როგორც მოსალოდნელი იყო, ხელიც არავინ გაანძრიეთ ამ კრების მოსაწყობად, თითქო გვსურს ამით დავამტკიცოთ, რომ მარტო ქართველ მაჰმადიანობას კი არა, არამედ პირდაპირ მთელ ქართველობასაც კი არა ჰყავს ამ საშინელ დროს გავლენიანი ხელმძღვანელი, მრჩეველი და დამრიგებელი. თუ რამე ზარალი ნახა ქართველმა სამაჰმადიანომ, ეს სულ ჩვენი ბრალი იქნება. ჩვენ საერთოდ მათთვის არა გაგვიკეთებია რა თვალსაჩინო, არ შეგვიმუშავებია მოფიქრებული სათანადო გეგმა მუშაობისა მათი სარწმუნოებისა და ჩვეულებების მიხედვით და ხეირიანად არ გვიმკლავებიათ ჩვენი მოქმედების შემბორკველ გარეშე მიზეზებს. თუ ვინმე მუშაობდა კიდევ, ეს მხოლოდ თითოოროლა ცალკე პირი, რომელთაც სინიდისი და სამოქალაქო ვალი ნებას არ აძლევდა გულ-ხელდაკრეფილი მჯდარიყვნენ და მხოლოდ ზოგჯერ ლაპარაკის დროს გაეხსენებინათ: „ჩვენ ქართველებს გვყავს კიდევ ძმები ქართველი მაჰმადიანები!“ ახლაც ისე მოხდა. ჩვენში გამოერჩია მარტო აკაკი ჩხენკელი, რომელმაც, როგორც ბათუმ-ყარსის დეპუტატმა, იკისრა ქართველ სამაჰმადიანოს დედა-ქალაქ ბათუმში მისვლა ამბების გამოსაკითხავად. ქართული გაზეთები „ახ. აზრი“ და „ახ. ივერია“ გადმოგვცემენ, რომ დეპუტატის ჩასვლისთანავე „მასთან მისულან აჭარლები, რომელნიც ართვინის ოლქში მომხდარ უკანასკნელ ამბების გამო ბათუმში ჩამოსულიყვნენ თავიანთ ჭირ-ვარამის მთავრობისა და საზოგადოებისათვის გასაცნობად... ჩამოსულებში ქართველი ბეგებიც ყოფილან, რომელთაც ბევრნაირი გასაჭირი უამბნიათ დეპუტატისათვის“. აკ. ჩხენკელი შეჰპირებია ზომების მიღებას და უნახავს სათანადო მთავრობის სხვა და სხვა თანამდებობის კაცი. ჩვენ არ შეგვიძლია სიამოვნებით და თანაგრძნობით არ შევხვდეთ ბ. დეპუტატის ამ ნაბიჯს. ამის მისვლა იქ სწორედ მისწრება იყო. სასურველია, მხოლოდ, აკ. ჩხენკელმა თავს იდვას, შეჰკრიბოს ქართველი საზოგადოების წევრები, რომელთაც შეუძლიანთ ამ საქმეში დახმარება გაუწიონ და გააცნოს მათ მდგომარეობა. ეს საჭიროა მოქმედების და მუშაობის ერთი გეგმის შესამუშავებლად.

ქართულმა პრესამ და საზოგადოებამ დიდი ყურადღება მიაქცია სრულიად რუსეთის საერობო კავშირის კავკასიის განყოფილების ჩვენში მოწყობის საკითხს. ეს ამბავი თავმდებია, რომ საქმე რიგიანად მოეწყობა ჩვენდა სასარგებლოდ. თუ ეს საქმეც ვერ მოვაწყეთ, ეს ისეთივე ამბავი იქნება, როგორც ზოგიერთ ქალაქების საქმის ხელიდან გაშვება. ამიტომ ჩვენ ყველანი სადარაჯოზე უნდა ვიდგეთ. საერობო რუსეთი პირველად შემოდის საქართველოში და აბა ვინ უნდა დახვდეს მას უპირველესად? ჩვენ იმედი უნდა გვქონდეს, რომ ის პირები, რომელთაც ხელში უჭირავთ ჩვენი საზოგადო საქმეების სადავე, ეცდებიან, ყოველ ღონეს იღონებენ, რომ საერობო კავშირის რწმუნებულ გრ. მუსინ-პუშკინს, რომელიც საგანგებოდ მოდის ჩვენში განყოფილების მოსაწყობად, აუხსნან დაუფარავად საკითხის მდგომარეობა.

გამბედაობა, გამბედაობა და კიდევ გამბედაობა, ბატონებო! თორემ „წამხდარ საქმესა არ არგებს მერმეღა თითზე კბენანი“...

---

ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს ჩვენს მიმართულებას ეროვნულ საკითხში. ჩვენ სულით და გულით ვეტრფით ჩვენი ეროვნული იდეალის განხორციელებას, რაც შეიძლება მალე. ამავე დროს ჩვენ არ ვივიწყებთ, რომ არსებობენ ჩვენს გარდა სხვა ერებიც, რომელთაც თავ-თავიანთი ეროვნული იდეალი აქვთ. მაშასადამე, თუ გვსურს, რომ ჩვენს იდეალს პატივი სცეს სხვამ, ჩვენც ისევე უნდა მოვექცეთ მის სათაყვანებელს. მკითხველმა იცის აგრეთვე ჩვენი შეხედულება კავკასიის ყველა ერთა შორის განურჩევლად სოლიდარობის დამყარებაზე. მაშასადამე, ადვილად მიხვდება თუ რა მწუხარება უნდა გვეგრძნო იმ წერილების კითხვის დროს, რომელიც იბეჭდება გაზ. „ზაკავკ. რეჩში“ სომხეთის შესახებ. ამ წერილებს, საუბედუროდ, აწერია ქვეშ ფსევდონიმი „გრუზინი“, ე. ი. „ქართველი“. ეს გარემოება საბაბს აძლევს მეორე მხარეს მიიჩნიოს ისე, თითქო ეს „ქართველი“ გამოჰხატავდეს მთელი ქართველი საზოგადოების აზრს. ამგვარად სარგებლობა კი არა, დიდი ვნება მოაქვს ასეთ საერთო ფსევდონიმების ხმარებას. ჩვენ ვერ დავუშლით ვერც ერთ ქართველს იქონიოს როგორიც სურს, ისეთი აზრი ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ მოვთხოვოთ ქართველს ჟურნალისტს, თუ იგი, მართლაც, ქართველია, არ მიჰმართოს ისეთ ფსევდონიმებს, რომელნიც გაუგებრობას იწვევენ და მთელს ერს აძლევენ ხელში მოპირდაპირეს. წაიკითხეთ „ჰორიზონის“ წერილები, „გრუზინის“ საპასუხოდ დაწერილი, და მერე განსაჯეთ, მართალია თუ არა ჩვენი შენიშვნა. მერე, მართლაც, რა მნიშვნელობა აქვს ოსმალეთის სომხეთის შესახებ ისეთ წერილების ბეჭდვას, რომელსაც მიზნად აქვს დაუმტკიცოს ყველას, რომ ავტონომიის შემოღება იქ შეუძლებელია. რა სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის ამ—გვარ წერილებს, პირდაპირ ვერ გაგვიგია? ნუთუ ჩვენთვის სასიამოვნო იქნებოდა, რომ რომელსამე სომხის პუბლიცისტს დაეწყო ახლა საქართველოს ავტონომიის იდეის გაწბილება და გაბათილება?!

## იუკან გამარჯვება!

ეს საინტერესო წერილი დასტამბულია ჟურნალ „სოვრ. მირში“ და ეკუთვნის ცნობილ რუსის პუბლიცისტს ნიკ. იორდანსკის. მოგვყავს აქ მოკლე შინაარსი.

საქვეყნო ომმა მოიცვა მთელი ჩვენი ფიქრი, მთელი ჩვენი გრძნობა. ბევრი მწვავე საკითხი დაგვიყენა ამ სისხლის წვიმებმა რუსეთის მოქალაქეთ. ვცდილობთ გავარკვიოთ, ავხსნათ დედა-აზრი იმ განსაცდელისა, რომელიც ხვდა წილად რუსეთის სახელმწიფოს. ნეტავ, როგორი შედეგი უნდა ექნეს ამ საშინელებას საერთოდ მთელი კაცობრიობისთვის და კერძოდ რუსეთისთვის? ან როგორი ძირითადი პოლიტიკური და სოციალური ცვლილებანი გადაეშლება ევროპას? იმ მრავალ საკითხებში, რომელნიც დაჰბადა უკვე შეწირულმა უამრავმა მსხვერპლმა, ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს შემდეგ საკითხებს. რა იყო მიზეზი რუსეთის ომში მონაწილეობის მიღებისა, ან რა მნიშვნელობა ექნება ამ ფაქტს? ცნობილია გარეგანი პოლიტიკური ისტორია არეული მდგომარეობისა. ავსტრიამ წარუდგინა ულტიმატუმი სერბიის მთავრობას, რუსეთმა თავის მხრივ მშვიდობიანი შუამდგომლობა აღძრა, რაზედაც უარი მიიღო ავსტრიის მთავრობისაგან. მოხდა დიპლომატიური მოლაპარაკება სახელმწიფოთა შორის, ამას მოჰყვა გერმანიის ორჭოფული ქცევა და ბოლოს გერმანიისაგან რუსეთის მთავრობისადმი ომის გამოცხადება. ამ უკანასკნელმა კიდევ ხელი შეუწყო ყველა დიდ სახელმწიფოების ომში ჩარევას.

როგორი იყო ეკონომიური მიზეზი დღევანდელი საქვეყნო ომისა?

გერმანიის კაპიტალიზმის მძლავრი ზრდა საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ მოითხოვდა უფრო ფართე ფარგლებს, ვიდრე იმის განკარგულებაში იყო. ამ მიზნით მან გასულ საუკუნის ოთხმოციანი წლებში განავითარა სავაჭრო კოლონიალური პოლიტიკა, ამ ნიადაგზე ის უთუოდ უნდა შებრძოლებოდა „ზღვათა მეუფეს“ ინგლისს.

საფრანგეთი, რომელიც სამოცდაათიან წლებიდან ეწეოდა სავაჭრო პოლიტიკას, ე. ი. ახალშენების (კოლონიების) შექნას,—გააბრაზა ახალმა მოქიშპემ. გერმანია ცდილობდა ხელში ჩაეგდო აფრიკა, რომელიც უნდა გაეყოთ საფრანგეთს და ინგლისს. სურვილს ალზას-ლორენის დაბრუნებისას ფრთა შეასხა კოლონიალურ ნიადაგზე შეტაკებამ.

სავაჭრო პოლიტიკამ მიიღო მნიშვნელობა რუსეთისთვის, როგორც ნორჩ კაპიტალისტურ ქვეყნისათვის, მხოლოდ უკანასკნელ წლებში, მაგრამ ისიც შევიწროებულ იქნა გერმანიისაგან. ვილჰელმის პოლიტიკის მთავარი მიზანი იყო გაედევნა რუსეთი შორეულ აღმოსავლეთისკენ, გაედევნა ის ევროპიდან აზიისკენ. ამას გარდა ეკონომიური დამოკიდებულება გერმანიისა და რუსეთისადმი ატარებდა უგვან სახეს კაპიტალისტურ ექსპლოატაციისას. სავაჭრო ხელშეკრულობამ დაუმორჩილა გერმანიას რუსეთის სოფლის მეურნეობა და დამმუშავებელი მრეწველობა. აშკარაა რუსეთი ეცდებოდა დაეცვა თავისი ინტერესები. ინგლისი და საფრანგეთი უნდა დახმარებოდენ რუსეთს, რადგან გერმანიის დამარცხება მოასწავებდა რუსეთის ბაზრის გამეფებას. ომის დაწყების წინად დიპლომატიური მოლაპარაკებაც კი გამოიწვია გერმანიის და საფრანგეთის ქარხნების კონკურენციამ სამხედრო და საზღვაო იარაღების მზადების სფეროში.

ამგვარად რუსეთი იძულებული შეიქნა ომში ჩარეულიყო გერმანიასთან არა მარტო საკუთარ მრეწველობის განთავისუფლების მიზნით, არამედ თავისუფალ სავაჭრო დამოკიდებულებისათვის სხვა ქვეყნებთან, რომელნიც მოისწრაფოდნენ რუსეთის ბაზრისკენ.

როგორც ვხედავთ, უმთავრესი მიზეზი ბრძოლისა, არის სურვილი ყოველი სახელმწიფოსი—დაიცვას თავის ნაციონალური კაპიტალიზმი. ამ სურვილის განხორციელების ასე თუ ისე გადაწყვეტა შეეძლო მხოლოდ ომს. ვერავითარი ცდა ამ აუცილებლობას ვერ გაუმკლავდებოდა. რუსეთის მონაწილეობა ამ ომში გამოწვეულია კაპიტალისტური განვითარების და ეკონომიური პროგრესის მოთხოვნილებით. თუ რუსეთის ომი იაპონიასთან ვერ შეეხებოდა სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობას, მის ნაციონალურ დამოუკიდებლობას, სულ სხვა შედეგი ექნება დღევანდელ ომს. დამარცხება და სრული გაღატაკება ერთი იქნება. ამ შემთხვევაში უნდა მოველოდეთ ჩვენ მტრისაგან ისეთ კონტრიბუციას, რომელიც აღირიცხება მილიარდებით; სახელმწიფო დაჰკარგავს ნაწილს თავის ტერიტორიისას. გერმანია შეიერთებს პოლონეთს და ბალტიის მხარეს, მოითხოვს საზღვაო ფლოტის შემოკლებას, სავაჭრო ხელშეკრულობაც იქნება გადაკეთებული მტრის სასარგებლოდ. რუსეთის აღებ-მიცემობა სრულიად დაემორჩილება გამარჯვებულის სურვილებს. რუსეთი დაჰკარგავს ეკონომიურ დამოუკიდებლობას და შესაძლებლობას კულტურულ ზრდა-განვითარებისას. რუსეთის გამარჯვება გერმანიის თვალსაზრისით არის კულტურის დამარცხება. გერმანიის ყოფილ კანცლერ თავად ბიულოვის სიტყვით „გერმანია 43 წელიწადი იყო მშვიდობიანი სახელმწიფო, არ ეხებოდ უფლებათა და ინტერესებს სხვა სახელმწიფოებისას. ის ეხლა იბრძვის კულტურის განსამტკიცებლად, თავისუფლების და მშვიდობიანობის დასამყარებლად და არ ჩააგებს ხმალს, ნამ სხვის თავდასხმისაგან სამუდამოდ არ გაინთავისუფლებს თავს. გერმანია გაიმარჯვებს იმიტომ, რომ უნდა იმარჯვოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპას მოელის ბარბაროსობის ...“ ასეთივე აზრისა რუსეთის გამარჯვებაზე არიან გერმანიის ზოგიერთი ... რატიული წრეებიც. ერთი ... სოციალ-დემოკრატი ჰილდებრანდი გამოვიდა ჟურნალ „Hilfe“-ში სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, რომელნიც ამტკიცებდნენ ... ომის უაზრობას. ჰილდებრანდი ამ პროტესტში ხედავდა ავტორის მხრით პოლიტიკურ ინსტინქტის უქონლობას. მით უფრო არ ესმოდა სოციალ-დემოკრატების საქციელი რომ მარქსის შემდეგ რუსეთი ელთვის ითვლებოდა რეაქციის ბუდე. რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა ... აზრით, დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის მოთხოვნილებას უნ შეადგენდეს. კოპენჰაგენის გაზეთი „Liste Nyt“-ის თანამშრომელმა, რო შეეკითხა გამოჩენილ სოციალ-დემოკრატს პარტიის პოზიციის შესახებ, პასუხად მიიღო: „ჩვენ საზოგადოდ ომის წინააღმდეგნი ვართ, მაგრამ ომი რუსეთთან, როგორც რეაქციონურ წესწყობილებასთან, ჩვენი საჭიროთ“.

ასეთი, თავის გრძნობა არ არის მიმაღები!.. გერმანია ებრძვის არა მარტო რუსეთს, არამედ კიდევ ინგლისს და საფრანგეთსაც, რომელნიც მასზე უფრო კულტუროსანი არიან; ამასთან მშვიდობის პირობები შემუშავდებიან სამ შეთანხმების სურვილისამებრ, რომელიც ვერ მისცემს ნებას რომელსამე სახელმწიფოს დაჩაგროს ცივილიზაციის მოთხოვნილებანი. რუსეთი თავისგამარჯვებით მოიპოვებს მეტ გავლენას, მაგრამ იმის ნორჩი კულტურა ვერ მოხდენს ნაძალადევ გავლენას ევროპის უფრო გამოწრთობილ და დამდგარ კულტურაზე. გავიხსენოთ, რა გავლენა ქონია ვილჰელმმა 1905 წლის ზოგიერთ საკითხებზე, როდესაც რუსეთის შრომელებმა მიმართეს ქებითა და დიდებით და რასაც ახლაც იხსენიებს სიამოვნებით დუბროვინის „რუსკოე ზნამია“. იტალიელმა სოციალისტემა გერმანელ დელეგატს ზიუდეკუმ უთხრეს, რომ გერმანიის მილიტარიზმი პოლიტიკურ რეაქციაზე უფრო საშიშიაო. ეს მილიტარიზმი განამტკიცებს ძველ ფორმებს ცხოვრებისას დაჩარცხებულ სახელმწიფოებში, ის ფაქტი, რომ რუსეთთან ერთად იბრძვიან ევროპის მოწინავე ხალხნი, უნდა გვიმედებდეს, რომ მათ გამარჯვებას არ მოჰყვება წყვდიადის გამეფება. ამის გარდა ბევრნი ამბობენ, ვითომც რუსეთის გამარჯვება შინაურ ცხოვრებაზე ცუდ გავლენას იქონიებს: რუსეთის მიწაწყალს მოიცავს მძვინვარე რეაქციაო. უჩვენებენ ისტორიულ კანონსაც, რომლის ძალით ყოველ

გამარჯვებულ სახელმწიფოში ფეხს იდგამს რეაქციონური მიმართულება და დამარცხებულში კი ლიბერალური. იაპონიასთან ომში დამარცხებამ ხომ შეუწყო ხელი ლიბერალურ მიმართულებას,-ამბობენ ისინი: ამაზე უნდა ითქვას: არ არსებობს ისტორიული შაბლონი გამარჯვების და დამარცხების გავლენის გასაზომად შინაგან ცხოვრებაზე. განა მოჰყვა 1812 წლის გამარჯვებას რეაქციის გამეფება? არც 1877-78 წლის გამარჯვებას მოჰყოლია ასეთი შედეგი. 1870 წლის საფრანგეთ-პრუსიის ომს იმავე გერმანიაში, განა რეაქცია მოჰყვა? არც საფრანგეთში 1870 წლის მთავრობის დამარცხებას მოჰყოლია დემოკრატიის უფლებების და სურვილების გამეფება, თუმცა მონარქია რესპუბლიკად შეიცვალა. ომის გავლენა დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიურ და საზოგადოებრივ ძალებზე. თუ ხალხი იმდენად არ არის შეგნებული, რომ ვერ ჰგრძნობს მოთხოვნილებას ცხოვრების გარდაქმნისას, ვერავითარი მთავრობის დამარცხება ვერ მოუტანს თავისუფლებას და თუკი ეს მოთხოვნილება არსებობს, ვერავითარი გამარჯვება მთავრობისა ვერ მოსპობს მას.

გამარჯვება გაანთავისუფლებს რუსეთს ეკონომიურ ტყვეობისაგან, რასაც მოჰყვება ეკონომიური პროგრესი და ეს პროგრესი არა თუ ხელს შეუწყობს პოლიტიკურ რეაქციას, არ პირიქით ფრთებს შეასხამს ქვეყნის წინსვლას, როგორც ეს ხდება ხოლმე ყოველ ჩამორჩენილ სახელმწიფოში. ამ ომში მონაწილეობას იღებს არა მარტო ჯარი, არამედ მთელი რუსეთის ხალხი. ის აქტიურ მონაწილეობას იღებს ჯარის ოჯახების შენახვაში და დაჭრილების მოვლაში. მრავალი საკითხი ებადება ომში ასე თუ ისე მონაწილეს და ეს საკითხები მოითხოვს ხალხისგანვე გადაწყვეტას. „ომის დაწყება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მისი თანახმაა მთელი ერი. ომი სახალხო უნდა იყოს. ომმა უნდა გამოიწვიოს აღფრთოვანება... კაბინეტის ომმა უკვე დრო მოჭამა. კაბინეტის ომს არ შეიძლება გამარჯვება მოჰყვეს“,—ამ ორმოცი წლის წინ სთქვა ბისმარკმა. მონაწილეობის მიღების აუცილებლობა თანდათან აშკარა ხდება. გერმანელი ელჩი, როგორც გამჟღავნებულია ინგლისურ „ლურჯ-წიგნში“, ფიქრობდა ვენაში, რომ რუსეთი მარტო დიდ პოლიტიკურა საკითხის წამოყენების შიშის გამო დაემორჩილება ავსტრიის და გერმანიის მთავრობას. „რუსეთი,—ეუბნებოდა ფონ-ჩირსკი თავის ინგლისელ ამხანაგს:—ჩაიდენს იმას, რომ გადასწყვიტოს სიარალებული გამოსვლა, რადგან განაბიჯი მისი დაჰბადავს მრავალ სითხებს: პოლონელების, რუსინების, რუმინელებისა და სპარსელების“. საკითხები და ბევრი სხვაც დაჰბადა ახლანდელმა მდგომარეობამ და მათ გადასაწყვეტად მიიხმო ხალხი. ეს დამტკიცა პოლონელების საკითხის გადაწყვეტამ რუსეთის-მიერ. ასევე გადაწყდება სხვა საკითხებიც პოლიტიკურ და ნაციონალურ ცხოვრებისა. ომიაც ძალიან განვითარდა კულტურულ მხრით. გამოღვიძებული რუსეთი ულგრილად ვერ შეხვდება მრავალ სითხების გარდაწყვეტას და ხელს უწყობს თავის ცხოვრების გარდაქმნა ხალხის გამოღვიძებული ენერგია ეს შეგნებულ მოქმედება სპობს შიშს რეაქციის გამეფებისას.

უნდა გვწამდეს ყოველ—შემძლებელობა რუსეთის განვითარებისა და ნათელი მომავალი რუსეთის დემოკრატიისა. მეომართა ლაშქარი იცავს ქვეყანას გარეშე მტრებისაგან. ლაშქარი მოქალაქეებისა მტკიც ნაბიჯით უნდა მიდიოდეს თავის მიზისკენ: უზრუნველჰყოს სამშობლოსთვის თავისუფალი და კულტურული ყოფა-ცხოვრება...

ნ.

# სომხის ერის საკითხი.

III

რომში დელეგატებმა, არქიეპისკოპოსმა ხრიმიანმა და მინას ჩერაზმა ნახეს გარეშე საქმეთა მინისტრი კორტი, რომელმაც დახმარება აღუთქვა პარიზში კი-ნუბარ-ფაშამ. ნუბარ-ფაშა ფიქრობდა, რომ მაშინდელ პოლიტიკურ პირობების გამო დელეგაციის პროექტი სომხეთის ავტონომიის შესახებ ოსმალეთის პროტექტორატის ქვეშ და ევროპის გარანტიით, არ იქნებოდა მიღებული, ამიტომ მეორე პროექტიც შეიმუშავეს.

1878 წლის აპრილში არქ. ხრიმიანის სახელით მ. ჩერაზმა საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს წარუდგინა პირველი პროექტი ყველა საბუთებთან ერთად. მათ ყველამ ნახეს გერმანიის ელჩი, რომელიც შეჰპირდა დახმარებას და ურჩია მიეპოვებინათ როგორც რუსეთის, ისე ინგლისის თანაგრძნობა. მხურვალე მონაწილეობა მიიღო მაშინ საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა, რომელსაც კარგად ჰქონდა შესწავლილი სომხეთის ისტორია და საკითხი. ინგლისის ელჩი დაეკითხა სომხის დელეგატებს სომხების რაოდენობის შესახებ და აგრეთვე იმის შესახებაც, შეუძლიათ თუ არა სომხებს, როგორც საჯდრო ძალას ქურთების ალაგმვა. დელეგატებმა ეს დაუდასტურეს და თან იარაღი სთხოვეს.

პარიზიდან დელეგატები წავიდნენ ლონდონში, სადაც, განსაკუთრებით კი მანჩესტერში, არსებობდა ოსმალელ სომხთა დიდი კოლონია, რომელსაც კავშირი ჰქონდა სომხის ერის მოღვაწეებთან. ამათი წყალობით დაარსდა „აღმოსავლეთის საკითხის საზოგადოება“, რომელსაც სათავეში უდგენ ნეგოციანტი ინდოეთიდან სეთ აბგარი სმირნიდან გ. ფაფაზიანი და ინგლისის გაზეთებში სომხის საკითხის შესახებ მწერალი ი. აკოფიანი. ამ საზოგადოებამ თავის დაარსების ერთის წლის წინ, ე. ი. 1877 წ., გამოსცა ინგლისურად წიგნაკი „სომხეთი და ლივანი“, რომელშიაც იყო ნათქვამი, რომ ოსმალეთის სომხეთში ისეთივე წესება უნდა იქმნეს შემოღებული, როგორც ლივანში.

1877 წელს ჯეიმსმა ბრაისმა დაიწყო ლექციების კითხვა სომხებზე სამეფო ინსტიტუტში. ჯ. ბრაისი 1876 წ. ავიდა არარატზე და ამის შესახებ მთელი წიგნი დაბეჭდა. 1878 წ. სომხებმა გამოსცეს ლონდონში ინგლისურ ენაზე წიგნი: „სახელმწიფოების კონფერენცია და სომხები“.

ამგვარად ინგლისის საზოგადოებრივი აზრი უკვე მომზადებული იყო სომხების სასარგებლოდ. ამიტომ ადვილად შეკრიბა ლონდონში ინგლისელთა პირველი ყრილობა, რომლის თავმჯდომარედ არჩეული იყო ლორდი კარნარვონი და მდივნად ბრაისი. დაარსდა ინგლის-სომხეთის კავშირი, რომლის სათავეში მიხვდენ ზემოხსენებული პირნი. ამავე კრებაზე აირჩიეს დელეგაცია, რომელმაც მინისტრ დერბის წარუდგინა მოხსენება. ამას და აგრეთვე ლორდ სოლსბერის ხრიმიანმა წარუდგინა სათანადო პროექტები. იმავე ხრიმიანმა მანჩესტერში მცხოვრებ სომხებს გადასცა პატრიარქის კონდაკი. სომხები მოითხოვდენ თავის ქვეყნისათვის სომხებისაგან დანიშნულ ადმინისტრაციას.

ლორდმა სოლსბერიმ უპასუხა სომხის დელეგატებს, რომ მათ მიეცემათ ისეთი ადმინისტრაცია კონგრესის შემდეგ, რომელიც „უზრუნველჰყოფს სომხის ერის კეთილდღეობას, თავისუფლებას და მშვიდობას“. სომხის დელეგატებმა ვერ მოასწრეს ვენაში წასვლა, ამიტომ ლონდონში მყოფ ავსტრიის ელჩს გადასცეს პატრიარქის წერილი პროექტთან ერთად და სთხოვეს მინისტრ ანდრაშისათვის გაეგზავნა, რომელსაც ეთქვა: „სომხები უნდა ევედრონ ღმერთს, რომ ხონთქარი დარჩეს სტამბოლში, თორემ, თუ მან დაჰკარგა ევროპის ოსმალეთი და გადასახლდა აზიაში, მაშინ მისი რისხვა მძიმედ დააწვება აზიაში მცხოვრებ ქრისტიანებს“.

სომხის დელეგატებმა ნახეს აგრეთვე ინგლისის ეკლესიის მეთაური.. მის წინაშე ხრიმიანმა გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა.

ინდოელმა რაჯამ გამართა ხრიმიანის პატივსაცემად ნადიმი და უსურვა სომხებს გამარჯვება.

გლადსტონმა ალერსიანად მიიღო სომხის დელეგატები და განუცხადა: მართვა-გამგეობის საქმე ჩემი მოპირდაპირის ბიკონსფილდის ხელშიაო. ყველა ელჩები ნახეს დელეგატებმა, თვით ოსმალეთისაც ბერძენი მუსურუსი, რომელმაც განუცხადა: ევროპა უძლურია აზიის ოსმალეთშიო.

დელეგატებმა ნახეს აგრეთვე ყველა წარჩინებული პირები და მიაწოდეს მათ ყველა ცნობები. პარლამენტის წევრმა ფორსტერმა გააფრთხილა ისინი: ნუ გაარისხავთ რუსეთს და ნუ გახდებით ინგლისელ პარტიების სათამაშო იარაღიო. ინგლისი ვერ აძლევს თვალყურს შორეულ სომხეთსაო“.

გერმანიის ტახტის მემკვიდრეც, რომელიც დიდის ამბით მიიღეს იერუსალიმის მონასტერში, დაჰპირდა სომხის დელეგატებს დახმარებას გაგიწევთო.

3 ივნისს სომხის ერის საკითხი აღძრეს ინგლისის პარლამენტში. სოლსბერიმ პესიმისტურად ილაპარაკა ამ საგანზე. სომხის დელეგატებმა წერილობითი განმარტება წარუდგინეს მას. ერთი თვის შემდეგ დელეგატები გაემართენ ბერლინისაკენ, სადაც სახელმწიფოების კონგრესი უნდა მომხდარიყო.

ამ კონგრესამდის რუსეთის ელჩმა გრ. შუვალოვმა და ლორდმა სოლსბერიმ პირობაზე ხელი მოაწერეს, რომელშიაც მოხსენებული იყო, რომ ოსმალეთი სომხების სან-სტეფანოს ტრაქტატის მე-16-ე მუხლის თანახმად უნდა დაპირებოდა არა მარტო რუსეთს, არამედ ინგლისსაც. ინგლისის კონსერვატიული მთავრობა რუსეთთან თანხმობით არ მოქმედებდა. იგი მოელოდა თვით ოსმალეთის მხრით რეფორმებს. ამ შეკრებაზე შემდეგში მიუჩითა არგაილის ჰერცოგმა. ბერლინში უკვე მოსული იყვნენ ნარ-ბეი პეტროგრადიდან, ს. ფაფაზიანი და სხვა წარჩინებული სომხის მოღვაწეები. ყველა ამათ ინგლისიდან მოსულ დელეგატებთან ერთად წარუდგინეს სახელმწიფოების რწმუნებულთ და კონგრესის თავმჯდომარეს ბისმარკს შეგროვილი საბუთები.

სომხების თხოვნას შეადგენდა: სომეხ ინსპექტორის და სომეხ-მოხელეების დანიშვნა სომხის ვილაიეთებში. ისინი უნდა ყოფილიყვნენ ამ მხარის მმართველნი. მათთან უნდა ყოფილიყო დაარსებული წარმომადგენელთა კრება. ამ მხარის ბიუჯეტიდან 20 პროცენტი უნდა მისცემოდა ოსმალეთის ხაზინას, დანარჩენი კი უნდა მოხმარებოდა ადგილობრივ საჭიროებათა. ამასთანავე წარადგინეს სტატისტიკური ცნობები მცხოვრებთა რიცხვის შესახებ. სომხებს 4 მილიონამდის სთვლიდენ. კონგრესის პროგრამაში შეიტანეს სომხის საკითხი. ლონდონში სომხების სასარგებლოდ გაიმართა მიტინგი, რომელმაც დაადგინა ეთხოვოს ლორდ ბიკონსფილდს მხარი დაუჭიროს სომხის საკითხს. ევროპის პრესა თანაგრძნობით დაუხვდა სომხებს.

ოსმალეთის მთავრობამ ნება არ დართო პატრიარქს წასულიყო კონგრესზე და მოსთხოვა დელეგატები უკან დაებარებინა, რაც მან არ აასრულა. მთავრობამ განუცხადა კიდეც პატრიარქს სომხეთში ალი-შეფიკ-ბეის ვნიშნავ ინსპექტორადაო, მაგრამ ამას სომხებმა ყურადღება არ მიაქციეს. კონგრესმა წინადადება სომხეთის ავტონომიის შესახებ უარჰყო, აგრეთვე ისიც, რომ რეფორმების გარანტიისათვის რუსეთის ჯარებს დაეჭირათ სომხეთი და დაარსებულიყო ევროპის საკონტროლო კომისია.

მეთხუთმეტე სხდომაზე ლორდმა სოლსბერიმ ოსმალეთის რწმუნებულებთან ერთად შეიმუშავა ფორმულა, რომელიც კონგრესმა მიიღო.

ეს ფორმულა შემდეგი შინაარსისა იყო:

„მაღალი პორტა მოვალეა დაუყოვნებლივ განახორციელოს ის გაუმჯობესება და რეფორმები, რომელნიც ადგილობრივ მოთხოვნილებას შეადგენენ სომხების-მიერ დასახლებულ პროვინციებში, აგრეთვე მანვე უნდა უზრუნველ ჰყოს სომხები ქურთებისა და ჩერქეზებისაგან. მაღალმა პორტამ უნდა დრო-გამოშვებით აძლიოს ცნობები იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთაც შემოიღებს, სახელმწიფოებს, რომელთაც, თავის მხრით, თვალყური უნდა ადევნონ ამ ღონისძიებათა განხორციელებას“.

ასეთი იყო ბერლინის ტრაქტატის 61-ლი მუხლი, რომელმაც გადასწყვიტა სომხის ერის საკითხი.

სომხები ამ ფორმულაზე არ დასთანხმდნენ. ძალიან გულ-ნაკლულებმა მათ გაჰგზავნეს კონგრესზე თავის პროტესტი, რომელშიაც განაცხადეს, რომ ისინი მოტყუებული დარჩნენ ევროპის მხრით და ამიტომ იმდენს იმეცადინებენ სანამ ევროპა მათ სამართლიან მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებს.

სანამ წამოვიდოდენ ბერლინიდან, სომხის დელეგატებმა ნახეს გრ. ლორის-მელიქოვი, რომელმაც ურჩია მწუხარებას ნუ მიეცემითო.

ასე დაბოლოვდა სომხის ერის საკითხი საერთაშორისო დიპლომატიის სამფლობელოში. იგი ხელ-ახლა წამოაყენა ცხოვრებამ 35 წლის შემდეგ პარიზის კონფერენციაზე ბალკანეთის ომის შემდეგ.

## ქართველი მსხვერპლი საფრანგეთისათვის შეწირული

### ბუჭუტა აბაშიძის ხსოვნას.

ახლანდელმა საშინელმა ბრძოლამ საფრანგეთში იმსხვერპლა ერთი ჩვენი თანამემამულე, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ყმაწვილი თავადი ალექსანდრე (ბუჭუტა) იასონის-ძე აბაშიძე. ამ ყმაწვილის თავ-გადასავალი მეტად საყურადღებოა.

ამ სტრიქონების დამწერი პირველად შეხვდა მას ჩვენი ცნობილი მკურნალი ვახტ. ღამბაშიძის საბავშვო სანატორიუმში პატარა-ცემს, როდესაც იგი მოწაფე იყო ქუთაისის რეალურ სასწავლებლისა. ჯერ კიდევ მაშინ თავის სიცქვიტით იპყრობდა იგი სანატორიუმელების ყურადღებას. ყველა ატყობდა, რომ რაღაც უჩვეულო და უზომოდ მამაცი ადამიანი შეიქნებოდა.

მართლაც მოვიდა ჰასაკში თუ არა, მოუსწრო მას სახალხო მოძრაობამ. მაშინ ის უკანასკნელ კლასში იყო. გაიტაცა ამ მოძრაობამ. სამოსწავლო წლის შუაგულში ეჭვი მიიტანეს მასზე, რომ იგი ერია ერთს არა-ლეგალურ საქმეში. დააპირეს მისი დაჭერა. ეს იმან შეიტყო, გაიქცა ქუთაისიდან, კარგა ხანს იმალებოდა ახლო-მახლო ტყეებში. ნათესავებმაც კი არ იცოდნენ მისი ბინა.

მოახერხა თბილისს მოსვლა და აქედან წავიდა საზღვარ-გარედ პირდაპირ პარიზში. რადგანაც ცხოვრების სალსარი არა ჰქონდა, ამიტომ იმან არჩია მოხალისეთ შესულიყო საფრანგეთის სახალშინო (კოლონიალურ) არმიაში. პირველი ხანა თავის სამხედრო სამსახურისა ბუჭუტამ გაატარა ალჟირში საფრანგეთის აფრიკულ ჯარში და რამდენჯერმე მიიღო კიდეც მონაწილეობა საფრანგეთის ომში აფრიკაში მცხოვრებ სხვადასხვა ტომის ხალხებთან. მისმა განსაკუთრებულმა მამაცობამ მიიზიდა უფროსების ყურადღება და იგი მალე დააჯილდოვეს სერჟანტის წოდებით.

აფრიკის შემდეგ ბუჭუტა აბაშიძე გადიყვანეს ჩინეთში საფრანგეთის ჯარში. აქ მან დაჰყო რამდენიმე წელიწადი.

მას უფროსები და ამხანაგები ეძახდენ Prince étranger de Géorgie (საქართველოს, უცხოელი თავადიშვილი) და ვინ იცის, რას არ იგონებდნენ საფრანგეთის არმიაში მისი სამსახურის და ყოფნის გამო. თუმცა მას ძალიან მამაცათ სთვლიდნენ, მაგრამ მაინც წინ არა სწევდენ სამსახურში, უთუოდ როგორც უცხოელს. მაგრამ ის თვითონ არ აპირებდა სამხედრო საქმისათვის მიეცა თავი. სამსახურის ვადა გაათავა თუ არა, შევიდა იგი პარიზის ერთ-ერთ უმაღლეს სპეციალურ სასწავლებელში. იგი მეორე კურსზე იყო, როდესაც დაიწყო ევროპის ომი. მან თავის ვალად მიიჩნია დაჰბრუნებოდა საფრანგეთის მხედრობას და თავი დაედო ახალ სამშობლოსათვის.

ბრძოლაში მან თავისებურად დიდი სიმამაცე და გულადობა გამოიჩინა. რამდენსამე ხელჩახელ შეტაკებაში გერმანელებთან მიიღო მონაწილეობა. ამბობენ კიდეც საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენიც კი დაიმსახურაო და აგრეთვე ოფიცრის წოდება. მაგრამ მუხთალმა ბედმა უმტყუნა და მამაცმა ქართველმა სული დალია მშვენიერ საფრანგეთის დაცვისათვის.

უკანასკნელ დროს, თურმე, ძალიან მოსწყურდა სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ ვერ გაბედა, რადგანაც კანონის რისხვა მოელოდა.

მამამისი იყო თავ. იასონ კონსტანტინეს-ძე აბაშიძე ართვინის ოლქის ყოფილი უფროსი, რომელიც დაიღუპა ყაჩაღებთან შეტაკებაში დროს.

ასეთივე ბოლო ხვდა წილად მის გულად შვილს.

ტურგენევის რუდინისავით დაიღუპა უცნაურად სამშობლოს გარედ ეს საქართველოს შვილი, რომლისაგან, რომ უკეთესი პირობები არავინ იცის რა მოღვაწე გმირი გამოუვიდოდა მის ბედკრულ ქვეყანას.

თუ ამ მწარე და გასაჭირ დროს ამ სტრიქონების ქართველი წამკითხველი ამოიოხრებს და შემდეგშიაც არა-ერთხელ გაიხსენებს ამ იშვიათ და უშიშარ ყმაწვილ-კაცს, მაღალ იდეებით გატაცებულს,—ეს იქნება საუკეთესო ჯილდო, სამშობლოდან მიძევნილი, სიმპატიურ და უდროოდ გამქრალ ვაჟკაცი ყმაწვილისათვის.

# ევროპის ომი

### დეპეშები პეტროგრადის სააგენტოსაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 ნოემბერს დილით მიღებული.

**პეტროგრადი, 22 ნოემბერი.** ოფიციალურად. უმთავრეს სარდლის შტაბისაგან. ლოვიჩის მიმართულებისაკენ, ლოძის რაიონში, პეტროკოვის გზებზე დასავლეთით მედგარი ბრძოლაა კიდევ. 21 ნოემბერს ბრძოლის დროს ჩვენმა ჯავშნიანმა ავტომობილებმა პაბიანიცი-ლასკის გზა-ტკეცილზე ისარგებლეს ბინდით და შეიჭრენ მტრის კოლონაში, რომელიც გაჰფანტეს ტყვიის მტყორცნელების და ზარბაზნების საშუალებით. მტერმა დიდი ზარალი ნახა. სხვა ფრონტებზე თვალსაჩინო ცვლილება არა მომხდარა რა.

**ბორდო, 22 ნოემბ.** არმიამ გამოსცა ბიულეტენები სათაურით „ომის 4 თვე“, რომელშიაც მოთავსებულია ანგარიში 20 ივლისიდან 20 ნოემბრამდის. ბიულეტენები ამბობენ. ნოემბრის მეორე ნახევრიდან გერმანელების მოქმედება შესუსტდა. იპრის ბრძოლაში მტერმა 120,000 კაცი დაჰკარგა. გერმანელებმა ვერ შეასრულეს თავის განზრახვა. ოქტომბრის დასაწყისში მოკავშირეთა და მტრის ძალები თანასწორნი იყვნენ, როგორც კომპანიის დასაწყისში. მძიმე ზარბაზნების რიცხვმა იმატა. ინგლისელებმა მიიღეს მაშველი ჯარები. ბელგიელთა არმია შესდგება 9 დივიზიიდან. გერმანელებმა წააგეს ბრძოლა: ნანსისთან, პარიზთან, დიუნკერკთან, კალესთან და იპრთან, აგრეთვე მაშინ, როდესაც აგვისტოსა და ნოემბერში განიზრახეს შემოევლოთ ფრანგების მარცხენა ფრთისათვის და როდესაც კიდევ სექტემბერში სცადეს გაერღვიათ ფრანგების არმიის შუაგული. გერმანელებმა გამოიყვანეს უკვე ყველა თავის რეზერვები. ახლად მოწყობილი ჯარები არ არიან კარგათ გავარჯიშებულნი“.

**პარიზი. 21 ნოემ.** ოფიციალური ცნობა საღ. 11 საათზე. მოზელის მარჯვენა ნაპირზე ჩვენ დავიჭირეთ ლომენილი, სინიალი და დოქსონი. ვოგეზებში ჩვენმა ჯარებმა აიღეს გერმანული სიმაგრეები, რომელნიც მდებარეობენ მაღლობზე სოფელ ბონომთან და რომელნიც საზვერ სადგურებათ ჰქონდათ გადაქცეული გერმანელებს. ელზასში ჩვენ დავიჭირეთ სადგური ბურჰაუფტი და გავაგრძელეთ ასპაკ—ასპაკის ხიდი — ბურჰაუფტის ლარზე.

### კავკასიის არმიის შტაბისაგან.

19 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა დილმანის და ქოის გზებზე ბრძოლის შემდეგ დაიჭირეს სარაი და ბაშკალა. ოსმალებმა, რომელნიც იცავდენ პოზიციებს ამ ქალაქებთან, უკან დაიხიეს, ნაწილი კი გაიქცა ვანისაკენ და დასტოვა მრავალი დაჭრილი და ტყვე. ბაშკალაში ჩვენ ჩაგვივარდა ხელში საჭმელ-სასმლის და სამხედრო სურსათის საწყობები.

**რომი., 21 ნოემბ.** დეპუტატთა პალატაში მთავარ-მინისტრმა სალანდრამ განაცხადა, რომ იტალიის ნეიტრალიტეტი უნდა იყვეს აქტიური, შეიარაღებული, ფრთხილად ეჭიროს თვალი. სალანდრამ სთქვა კიდევ, რომ არმია და ფლოტი იტალიისა კარგად უნდა იყოს მოწყობილი და შეიარაღებულიო და მოსთხოვა პალატას მიღებულ განსაკუთრებულ ზომების დადასტურება. პალატამ დიდი ოვაცია გაუმართა სალანდრას. პალატა თანაგრძნობით დაუხვდა აგრეთვე ტიტონის განცხადებასაც პარტიების გაერთიანების შესახებ.

**რომი, 22 ნოემბ.** დეპუტატთა პალატა. მრავალი დეპუტატი უარს ამბობს სიტყვაზე, რადგანაც თანახმაა სალანდრას გუშინდელ სიტყვისა. სინდიკალისტი ლაბრიოლა თანახმაა სალანდრასი, რომ ევროპის ომის პასუხისგება ედება ავსტრიასა და გერმანიას. „როგორც სოციალისტი და პროგრესიულ მიმართულების ადამიანი, სთქვა ლაბრიოლამ, მე მოველი, რომ ევროპის დიდი ომი არ შეიძლება დამთავრდეს გერმანიის ეთნიურ ბლოკის სასარგებლოდ, იმ გერმანიის, რომელსაც სურს თავის პატივისცემა მოიპოვოს 42 სანტიმეტრიან ზარბაზნების საშუალებით. როგორც იტალიელს, მე იმედი მაქვს, რომ ომი დამთავრდება მით, რომ იტალიის გარშემო შემოიკრებებიან ყველა მისი შვილები, რომელნიც მას აკლია. როგორც დეპუტატი, მე ვფიქრობ, რომ სალანდრა თავის სახელს დაუკავშირებს ჩვენი სამშობლოს გაერთიანებას... ...ნ დიდ აქტს.“ ლაბრიოლას თანხმობას უცხადებს სოციალისტ რეფორმისტი ბისოლატი. სოციალისტი ტრევესი წინააღმდეგია მთავრობისა. მას არა სურს, რომ იტალია ჩაერიოს ომში. ტრევესის სიტყვა უკმაყოფილებას იწვევს პალატაში. ჯედესკი, ყოფილი მინისტრი ხაზინისა, აცხადებს, რომ ფლოტი და არმია მზადაა დიდი დანიშნულების აღსასრულებლად. ამ სიტყვებს პალატა საოცარი ძალის ტაშისკვრით უხვდება. რესპუბლიკელი კალიანნიც თანხმობას უცხადებს მთავრობას. დანარჩენ 45 ორატორისაგან უმრავლესობამ უარი სთქვა სიტყვაზე. ხვალ უეჭველად კენჭს უყრიან მთავრობის განცხადებას.

იტალიის გაზეთები „კორიერე-დელა სერრა“, „პოპოლო-დ-იტალია“, „სეკოლო“, „მესაჯერო“, „იდეა ნაციონალე“ და „ტრიბუნა“ დიდის თანაგრძნობით იხსენიებენ სალანდრას ნალაპარაკევს.

# გვირის განმავლობაში.

**18 ნოემბერი.** აღმოსავლეთ პრუსიაში რუსებმა გაჰყარეს გერმანელები მაზურიის ტბების და მდ. ანგერაპის რაიონის რამდენსამე ალაგას.

მდ. ვისლასა და ვარტას შუა გერმანელებს უჭირავთ კიდევ სტრიკოვ-ზგერჟ-შადეკ-ზდუნსკავოლიას პოზიცია. სტრიკოვისა და ზგერჟის რაიონში ბრძოლის დროს რუსებმა წაართვეს გერმანელებს ზარბაზნები და ტყვიის მტყორცნელები, აგრეთვე რამდენიმე ასეული ტყვე გერმანელები წამოიყვანეს.

რუსებმა ბრძოლის შემდეგ დაიჭირეს გლოვნო-ბელიავი-სობოტას პოზიცია.

კრაკოვის გზებზე პროშოვიცე-ბრჟესკოსტარე-ბოხნია-ვისნიჩის ფრონტზე ავსტრიელები დამარცხდენ და ციხის რაიონში დაიხიეს.

კარპატებში რუსები შეეტაკენ ავსტრიელებს. 14 ნოემბრის განმავლობაში აიყვანეს 1.200 ტყვე.

ავსტრიელები უკან იხევენ ბუკოვინაში. ჩერნოვიცი ხელ-ახლა დაიჭირეს რუსებმა.

ოსმალეთის საზღვრებზე 15 ნოემბერს თვალსაჩინო შეტაკება არ მომხდარა.

საფრანგეთ-ბელგიის ფრონტზედაც ცვლილება არა მომხდარა-რა.

შავგორელებმა მოიგერეს ავსტრიელების თავდასხმა ვიშეგრადთან.

**19 ნოემბერი.** აღმ. პრუსიაში მცირე ბრძოლაა.

პლოცკი დაიჭირეს რუსებმა. ლოვიჩისაკენ მედგარი ბრძოლაა. გერმანელების ცდამ შჩერცოვის რაიონში წინ წასაწევად ამაოდ ჩაიარა.

კარპატებში 15 ნოემბერს რუსებმა ათი დღის ბრძოლის შემდეგ დაიჭირეს პოზიციები, რომელნიც იცავდენ გასასვლელ ადგილებს 50 ვერსის მანძილზე. ნოემბრის პირველ ნახევრის განმავლობაში ავსტრიის ფრონტზე რუსების მიერ წამოყვანილია ტყვეთ 50.000 ჯარისკაცი და 600 ოფიცერი.

**20 ნოემბერი.** ხელმწიფე გაემგზავრა მომქმედ არმიაში.

ლოვიჩის რაიონში მთელ ფრონტზე ბრძოლაა. გერმანელები მედგრად იბრძვიან ბელიავი-სობოტას ფრონტზე. ლოვიჩის ჩრდილოეთით რუსები იმარჯვებენ და წინ მიდიან. ლოძის რაიონში საარტილერიო სროლაა მარცხენა ფრთაზე. გერმანელები წინ მოიწევენ მრავლად სერაძიდან (კალიშის გუბ. 35-40 ვერსტ. საზღვრიდან) დალასკის რაიონში (პეტროკოვის გუბ. 25 ვერსტ. სამხრეთ-დასავლეთით ლოძიდან). 17 ნოემბერს აქ სწარმოებდა მთელი დღე მედგარი ბრძოლა რუსის მოწინავე ჯარებსა და გერმანელებს შუა. რუსებმა დაიჭირეს შჩერცოვი (25 ვერსტ. სამხრეთით ლასკიდან.)

ინგლისის მეფე გაემგზავრა საექსპედიციო არმიაში.

**21 ნოემბერი.** ლოვიჩის რაიონში ბრძოლა შესუსტდა. ლოძიდან ჩრდილოეთით რუსებმა მოიგერეს გერმანელები, რომელნიც მათ ღამე დაესხნენ თავს.

დასავლეთ გალიციაში რუსებმა კრაკოვის სამხრეთით 12 ვერსტის მანძილზე მდებარე ველიჩკა დაიჭირეს.

სერბიელებმა სუვოფორ-გუკოჩთან

# პროტესტი ევროპის წინააღმდეგ.

**გ ა მ ა რ ქ ა თ ი ბ ა ს ი. *)**

სომხურიდან.

ხელები მაქვს შეკრული და ფეხებში ხუნდები,
ევროპა მეუბნება—„რატომ არ აჯანყდები?
„ჩემგან ნუ გაქვს იმედი შენი თავისუფლების,
„ღირსი ხარ და ატარე შენ უღელი მონების!“

ექვსი საუკუნეა, რაც სისხლიდან ვიცლები,
წვეთ-წვეთობით ძარღვთაგან, სისხლო, შენ იწრიტები.
ევროპა ამბობს—,,სომხებს ზურგი შევაქციოთო,
„არ უვარგათ გმირობა, არიანო სუსტები!“

მთელ სომხეთში ნემსიც კი მტერმა არ დაგვიტოვა,
ევროპა კი იძახის—,,არ იშიშვლებთ რატომ ხმალს?“
ნუ თუ თოფის წამალზე უნდა გვქონოდა ზრუნვა,
ნუ თუ პურის ფშვნა მართებს კაცს მშიერსა და მწყურვალს?

დაგავიწყდა, ევროპავ, როდესაც ზარათუსტრა
ხმლით ვიტევდა და სურდა შენში ბინა ეჩინა?
მარა სომხის სისხლისღვრამ ავვარაირის ველზე **)
მისი რჯული გააქრო, შენ კი გადაგარჩინა!

დაგავიწყდა, ევროპავ, შენ იგი დიდი ზარი,
რომელსაც უმზადებდა შენსა შვილებს ისლამი?
სომხებმა შევიცოდეს, დაგიფარეს მკერდითა,
აგაცდინეს წვა, ჟლეტა... და დღეს ჩვენთვის რას ჰლამი?

მთლად ორი საუკუნე ჩვენ სისხლს ვღვრიდით შენთვისა,
რომ არ შემოგსეოდა ველობებოდით ძლიერს,
სიცოცხლე დაგიცავით, ხიფათს გადაგარჩინეთ,
და ამით დაელია თავგასულსა ძალა მტერს...

დაგავიწყდა, ევროპავ, როცა შენი გმირები
უდაბნოში დაგირჩა მწყურვალნი და მშივრები?
რას უშველიდა იმათ მათი იარაღები,
რომ სომხებს არ ექმიათ მათთვის პური, ნაღები?

უმადურო ევროპავ, გაიხსენე სომხები,
თავს ნუ ატყუებინებ ომის ცეცხლის შენ ალსა.
სისხლის ღვრაში, იცოდე, წილი არ უდევს მადლსა
და არც სულს მოასწავებს იგი თავისუფალსა.

მშვიდობის მოგვარება ვისწავლეთ მაცხოვრისგან,
მტანჯველის პატივება—მისი სახარებისგან.
და ნუ თუ დღეს გვატყდება თავს ახალი ვაება,
და ვართ მოტყუებულნი მაცხოვრის სიტყვებისგან?!

რათ გვინდოდა, თურმე, ჩვენ სულგრძელი საქციელი,
სჯობდა ვყოფილიყავით მკვლელნი შეჩვენებული,
მაშინ, თურმე, კი გვცნობდა ნაციათ ჩვენ ევროპა
სისხლსა მოწყურებული და ყველასგან ქებული...

მაგმაძე.

*) სომხის პოეტ რაფაელ პატკანიანის ფსევდონიმია.
**) ავვარაირის ველი დღეს სპარსეთის საზღვრებშია.

ბრძოლის შემდეგ დაუთმეს ავსტრიელებს ორი მნიშვნელოვანი პუნქტი. სერბიელებმა დაიხიეს უჟიციდან კოსერიჩამდე. კოლუბარის მარჯვენა ნაპირზე ლაზარევაცას გზაზე სერბიელებმა დაამარცხეს ავსტრიელები და წაიყვანეს ტყვედ 27 ოფიცერი და 2.000 ჯარისკაცი. ბულგარელი მოთარეშეები თავს დაეცენ სერბიელთა რაზმს.

გენ. ფონ-დერ-ჰოლცი დაინიშნა ოსმალეთის ეგვიპტეს არმიის სარდლად.

**22 და 23 ნოემბერი.** მდ. ვისლას მარცხენა ნაპირზე დიდი ბრძოლაა ილოვ-ლოვიჩის ფრონტზე და ლოძ-პეტროკოვის გზებზე დასავლეთით.

გერმანელები ბელგიაში (ფლანდრიაში) ყუმბარებს უშენენ ლამპერნისს დიკსმიუდეს დასავლეთით.

არგონში გერმანელებმა ააფეთქეს ლაპრიერის ტყის ჩრდილოეთ-დასავლეთის ნაწილი. ალზასში ფრანგებმა დაიჭირეს ზემო და ქვემო ასპაშები, ტანნიდან სამხრეთ-დასავლეთით.

გერმანიამ ბოდიში მოიხადა პორტუგალიის წინაშე გერმანელ ჯარების შესევის გამო ანგოლაში.

ბუქარეშტში მინისტრთა საბჭოს სხდომა შესდგა სერბიაში მომხდარ ამბების გამო. რუმინელთა სამხედრო დელეგაცია მიემგზავრება ოფიციალურ მინდობილობით რომსა, პარიზსა და ბორდოში.

სამხრეთ აფრიკაში ცნობილი ბური დევეტი ტყვედ წაიყვანეს.

## ხელმწიფე იმპერატორის მობრძანება

ამ დღეებში, როგორც გვაუწყებს გაზ. ,,კავკაზში“ დაბეჭდილი მეფის-მოადგილის განცხადება, საქართველოს დედა-ქალაქ თბილისს ესტუმრება ხელმწიფე-იმპერატორი ნიკოლოზ მეორე.

## ახალი ამბები

✦ სამოსამართლო პალატამ გაამართლა თავ. უჩა დადიანი და სხვა ბრალდებულნი, რომელთაც ბრალდებოდა თავ. ალექს. დადეშქელიანის მოკვლაში მონაწილეობის მიღება. ბაქოში ასზე მეტი მისალოცი დეპეშა მისვლია თავ. უჩა დადიანს. იგი წავიდა პირველად სამეგრელოში, შემდეგ გაემგზავრება პეტროგრადს, საიდანაც აპირებს წასვლას მოქმედ არმიაში.

✦ გუშინ თბილისში აკურთხეს წმ. ნინოს ქართული ლაზარეთი, რომელიც დაარსა ორივე გუბერნიის ქართველმა საზოგადოებამ. ლაზარეთი მოთავსებულია ქართულ გიმნაზიის შენობაში.

✦ რამდენიმე უცხოელ ფირმის სახელით ნიკ. ქართველიშვილმა გუბერნიის მარშალს წარუდგინა განცხადება, რომ თავადაზნაურობამ გადასცეს ამ ფირმებს 32 წლის ვადით იჯარაში ქარვასლა სასახლის ქუჩაზე. ეს ფირმები კისრულობენ ყოველწლივ გადუხადონ თავადაზნაურობას 20.000 მან. ბანკის გადასახადის გარდა, ქარვასლის ადგილას აგებას და იჯარის ვადის განმავლობაში ექსპლოატაციას ევროპიულ სახის პასაჟისას; აგრეთვე ჰპირდებიან თავადაზნაურობას ერთი წლის განმავლობაში აუშენონ თეატრი 400.000 მან ღირებულებისა იმ ადგილას, სადაც თავ.-აზნაურობა მოისურვებს.

✦ ,,კავკაზსკოე ხოზიაისტვოს“ 22 ნომერში დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო ,,პროექტი საერობო დაწესებულებათა გავრცელებისა ამიერ კავკასიაზე“. ეს პროექტი შეიმუშავა დაუღალავმა და მუყაითმა მშრომელმა ამ იდეის განხორციელებისათვის ბ. გიორგი თუმანიშვილმა. ეს დიდი პრაქტიკული ნაბიჯია. ჩვენ გავაცნობთ მკითხველებს პროექტს შემდეგ ნომერში.

✦ საზღვარ-გარედ განათლება მიღებულ ქართველ ახალგაზრდათა წრემ პოეტ ალექსანდრე შანშიაშვილის მეთაურობით გარდასწყვიტა ყოველდღიურ გაზეთის გამოცემა ,,საქართველოს“ სათაურით. ვუსურვებთ მათ სრულ წარმატებას დაწყებულ საქმეში.

### მეომართა ოჯახების დამხმარე კომიტეტების საყურადღებოთ.

**სოფ. საწაბლე** (ზემო იმერეთი, შორაპნის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს შორაპნის სადგურიდან, ათი ვერსის მანძილით, და წარმოადგენს მიწის ნიადაგით ძალიანს მწირ სოფელს.. ამ სოფლის მცხოვრებნი დაახლოვებით 90 მოსახლეა. არც სწავლა—განათლება, არც კულტურული დაწესებულება ამ სოფელს არ მოეპოება. არსებობს მხოლოდ ერთ—კლასიანი სამრევლოს შკოლა, რომელშიაც შენობის მოუწყობლობის, გამო შიგ მოსწავლე ბავშვები, ისედაც ღარიბი ოჯახის შვილები, სულს ღაფავენ სიცივის გამო ზამთრობით, და მხსნელი კი არსაიდანაა. ან კი ვინ უნდა უპატრონოს, როდესაც ამ სოფლის ჭირ-ვარამი და ნივთიერი სიღარიბე არც ერთ გაზეთში არ ყოფილა აღნიშნული. ეს სოფელი არსებობს სადმე თუ არა, არავინ იცის ისეთ-უადგილო ადგილას მდებარეობს. საჭიროა დახმარება მისგან, ვისიც ჯერ არს. სიმინდი ამ სოფელში სულ არ მოდის, ვინაიდან ნიადაგი გამოფიტულია. ღვინოც სხვა სოფლებთან შედარებით ძალიან ნაკლებად მოდის, წელს კი ოცი-ოცდა-ორი ფუთი არ მოსვლიათ ერთი მეორეზე.

**იპოლიტე ლამბაშიძე.**

## ომის მსხვერპლი.

**პოდპორ. ალექსანდრე ივანეს-ძე თკარაძე.**

არა ერთმა და ორმა ქართველმა განუტევა გმირულად სული ახლანდელ ომში პოლონეთის მიდამოებში. იქიდან მოსულმა ცნობებმა არა ერთი დედა აატირა მწარედ, არა ერთი და ორი თანამემცხედრე შეჰმოსა ძაძით. ჰგლოვობს დედა და მამა თავის იმედის, სიმწარით ნაშობ და აღზრდილ შვილის უდროოდ დაღუპვას, ჰგლოვობს სასო-მიხდილი და ილაჯ-გაწყვეტილი ცოლი გვერდის დასამშვენებლის სასოების სამუდამოდ დაკარგვას, ჰგლოვობენ და მწარედ სტირიან პატარა ბავშვები თავის უპატრონობას და უსაყვარლესი მამის დაღუპვას...

ასეთმა გლოვამ, ასეთმა მწუხარებამ მოიცვა აგრეთვე უდროოდ დაღუპულის ალექსანდრე თკარაძის მშობლები, მეუღლე და უძვირფასესი მხოლოდ ერთი წლის ბავშვი მისი.

განსვენებულმა თბ. სასულიერო სემინარიაში დაასრულა სწავლა და შემდეგ იძულებული იყო სამხედრო სასწავლებელში შესულიყო. სემინარიაში იგი ერთ მოწინავე მოწაფეთ ითვლებოდა და ამხანაგების საკმაო ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. სემინარიაში ისე არაფერი მოხდებოდა, რომ მას მონაწილეობა არ მიეღო და ამხანაგებისათვის არ გაეზიარებია თვისი მართლაც ჭკვიანური და მოფიქრებული აზრი. ამხანაგებიც მის შეხედულებას საჭიროებდნენ და ანგარიშს უწევდნენ. იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა აგრეთვე იმ ხელნაწერ ჟურნალებში, რომელიც იმ დროს სემინარიელებსა ჰქონდათ. კითხულობდა რეფერატებსაც სემინარიელთა მიერ დაარსებულ წრეებში.

მას ძალიან უყვარდა თვისი მშობელი ერი, სამშობლოს მაღალი კლდეები, მაგრამ ბედმა მას ამ სამშობლო სალკლდეების გარეშე არგუნა უდროოდ სიკვდილი.

მშვიდობით ძვირფასო მეგობარო, შენი ხსენება დაუვიწყარი იქნება იმ შენ მეგობარ-ამხანაგთა შორის, რომელთა სიყვარული და საერთო პატივისცემა დაიმსახურე.

ა. გ—ძე.

### ქართველები ბრძოლის ველზე.

(წერილი კიევიდან).

ამ სათაურითაა მოთავსებული კიევის ,,პოსლედნია ნოვოსტის“ სალამოს 2707 №-ში წერილი, რომლის ავტორი ქებათა-ქებას უძღვნის ეხლანდელ ომში მყოფ ქართველ მეომრებს.

,,ქართველები დიდებულნი შვილნი არიან თავიანთ პატარა სამშობლოსიო“ იმეორებს გაზეთი ერთ-ერთ დაჭრილ შტაბ-ოფიცრის ნათქვამსა, რომელიც შეეხება ქართველ ჯარისკაცებს.

,,სიტყვები მაკლდება ნახულის ასაწერად,—ამბობს ის ოფიცერი,—არ ძალმიძს მეომრის ყველა ღირსების გადმოცემა, რომელიც გამოიჩინა ეხლანდელ ომში ქართველმა ჯარისკაცმა. ხიშტების შეტევაზე რომ მიდგებოდა საქმე, მაშინ ისინი ცხარენი იყვნენ, ცეცხლის მფრქვევნი, მარდნი, როგორც შველი და ცქვიტნი როგორც ქარი. არ მახსოვს, რომ მტერი გაჩერებულიყოს დიდხანს ერთ ადგილას, როდესაც ერთმანეთის წამაქეზებელ წივილ-ყვირილით იერიშ მიიტანდნენ ხოლმე მტერზედა. იმ დროს, როდესაც ტყვის წვიმაში და ზარბაზნის ჰექა-ქუხილში გვიხდებოდა ადგილის გამოცვლა და ან უეცრად მტერთან შეტაკება, მაშინ თავისი საქციელით, უშიშარი და წინდახედული მოსაზრებით იმედსა და სიმამაცეს უღვიძებდნენ ქართველები მთელ [illegible]ს. წარმოიდგინეთ, ეს ხალხი თავის სიმღერა-ხუმრობას და სიმხიარულეს თხრილებშიაც კი არ იშლის, და [illegible]ხსენებათ, რა ჯოჯოხეთი და სიკვდილი ტრიალებს თხრილებშია“.

[illegible]მოდ მოხსენებული ოფიცერი ერთ[illegible] პოლკის უფროსად იყო. თურმე, [illegible]რის ნაგლეჯი რომ მოჰხვდა და [illegible]ა, ქართველმა გამოიყვანა ცეცხლიდან და ამით სიკვდილს გადაარჩინა. ის ოფიცერი რჩება და გულწრფელად მოწყენილია, რომ თავის [illegible]თან არ იმყოფება.

[illegible]ენი სახელგანთქმულ ,,ქართველ“ (ГНЧИКЪ) მეომრების არა ერთი [illegible] საქმე მაცნობეს,—განაგრძობს [illegible],—ასე რომ ეხლა მიძნელდება [illegible] ერთისა გიამბოთ. აი, მაგალითად, რა მიამბეს ჯარისკაცის [illegible]ის საქმისა. ვარშავის მახლობლად [illegible] №-ში ვიყავით დაბანაკებული სწორედ ამ სოფელში. საჩქაროთ თხრილ სანგრებში ვისხედით მთელ დღესა. ჯარისკაცები მოამშენ, საჭმლის მიტანა კი ყოვლად შეუძლებელი იყო. მტერი განუწყვეტლივ გვაყრიდა თავზე ყუმბარას და ტყვიას. საშიში იყო თხრილიდან ამოსვლა. მოულოდნელად იობაშვილი გაჩნდა ბლუჯა[illegible] ქაღალდით და პაპიროსითა და ამხანაგებს დაურიგა. მოგეხსენებათ, თხრილში თუთუნის გაბოლება რა მოსაწყენელია. ჯერ ვერ მოასწრეს ჯარისკაცებმა თუთუნით ესარგებლათ, რომ ხმა გავრცელდა წინსვლისა. როგორც კი დაიძრნენ, მტერმა აღმოაჩინა ჩვენი იქ ყოფნა, ,,ჩემოდანების“ *) სროლა იწყო. ყველა განცვიფრდა, არავინ იცოდა რა ექმნა. მეტად საშინელ წუთებში ვიცდიდით. ყველა ცდილობდა სიკვდილს გადარჩენოდა. აი სწორედ იჩინა თავი იობაშვილმა. ყველაზე წინ გამოვარდა, მოულოდნელად ლასთვის დაიძახა და დაკვრა იწყო დაირის დაკვრით ყველა წინ გაიტაცა თურმე, დაირა სადღაც ეშოვნა, თხრილებში გავერთობოდით, უფიქრია იობაშვილი წარდგენილია წმ. გიორგის ჯვრის მისაღებად. ამისთანა მაგალითი იმდენი იყო, რომ ბევრს ვეღარ კი ვიგონებ“,—დაასრულა ამბავი მიერმა ოფიცერმა.

ორნი ძმანი როსტომაშვილნი, ქუთაისის რეალურ სასწავლებლის ყოფილ დირექტორის ზ. პ. როსტომაშვილის შვილნი, წარდგენილნი არიან: უფროსი პავლე, პეტროგრადის პოლიტეხნიკურის ინსტიტუტის სტუდენტი, გიორგის ჯვრის 4 ხარისხის მისაღებად, უმცროსი—3-მე და 4-ხე ხარისხისა. რიგენი სამსონოვის კორპუსში მოქმედებდნენ და ერთ ოფიცერთან ერთად გერმანელებს ცხვირწინ მოსტაცეს მინდვრის გაუბიცა. ამის გარდა, ალექსანდრემ თავისი როტის უფროსი მხრზე შეისვა, ცეცხლიდან გამოიყვანა, რილობათა შესახვევ პუნქტზე მიიყვანა და ამით სიკვდილს გადაარჩინა. გზში გერმანელთა რაზმი შეეხვა, მაგრამ იმათაც გაუძვრა.

ჯარისკაცი კიკნაძე, თურმე, რამდენიმე კვირა ტყვედ იყო, მაგრამ გამოპარვა მოახერხა. ღამით დარაჯს მიეპარა, თავში ხელის დაკვრით დარაჯს თავ-ბრუ დაახვია, მისი მუზარადი და მუნდირი ჩაიცვა და გამოიპარა. ჯერ თავიანებთან არ იყო მოსული, რომ გერმანელებს თოფის სროლა გაუმართა. სამი დასჭრა, მათი თოფები წამოიღო და თავისიანებს დაუბრუნდა.

მ. თ—ლი.

ქ. კიევი.
1914 წ. ნოემბ. 15-სა.

*) ,,ჩემოდანებს“ ჯარისკაცნი ხუმრობით ეტყვიან ზარბაზნის დიდ ყუმბარებს.

### შიშიანობა შავი ზღვის გუბერნიაში.

,,შიში მიჩვენეკაცევას გიჩვენებო“, ნათქვამია და სწორედ ეს თქმულება სრულად გაამართლეს შავი ზღვის გუბერნიაში მცხოვრებლებმა.

უმავთულო ტელეგრაფმა ამცნო თუ-არა საზოგადოებას: ოსმალეთის გემებმა ნოვოროსიისკს და თეოდოსიას სროლა აუტეხესო, მსწრაფლ მთელი ხალხი საშინელმა შიშმა მოიცვა! ვინ ვის ასწრობდა გასაქცევად! სამგზავრო გემების შეჩერებისა გამო ყველანი იძულებული შეიქმნენ ეტლით ან ფეხით გამგზავრებულიყვნენ არმავირისა—თუ სენაკისაკენ. ეტლის სამგზავრო ფასი მამა-შვილურად გ ხდა. საცოდავ შესაბრალის სურათს წარმოადგენდა ათონის მონასტრის ბერ-მონაზონთა ჯგუფი, რომელსაც განრისხებულებსავით დაეტოვებინათ მონასტერი, თავიანთი ,,ფუთები“ ზურგზედ აეკიდნათ და ფეხით მიემგზავრებოდნენ რამდენიმე ასეულ ვერსის მანძილზედ სამშვიდობოსაკენ. ბევრმა მცხოვრებელმა თავის მხდალობით და უგნურობით ჩალის ფასად დ ჰკარგა თუ რამ გააჩნდა მოძრავი, ხოლო სახლ-კარი უპატრონოდ მიატოვა და თვითონ გადასანარჩუნებლად შორეულ მყუდრო მხარეში გადაიხიზნა.

შავი ზღვის, თუაფსე-ქვალონის რკინის გზაზედ, რომლის მუშაობაც შეუჩერებლივ გრძელდება, საკმაო ქართველი მუშა იმყოფება საქმეზედ. თუმცა შიშიანობის მიზეზმა ამ ბოლო ხანებში ძლიერ იკლო, მაგრამ მუშებში ხშირად ჩნდება დედაბრული ჭორიკანული ხმები. ზოგიერთი ცუღლუტები სიმართლეს მოკლებულ ხმებს ავრცელებენ: ,,გემები ათი ვერსის დაშორებით არიან; დაუნგრევიათ ესა და ეს ახალი ქალაქები და ამაღამ აქ მოვლენო“. შეშინებული გულუბრყვილო მსწრაფლ ანგარიშს თხოულობს თავის მოჯარადრისაგან და მუშაობაზედ ხელ აღებული მირბის სამშობლოსაკენ. იყო შემთხვევები, როდესაც წასული მუშა, ნამდვილს გზაში გებულობდა და ბრუნდებოდა მუშაობის გასაგრძელებლად. საკვირველია ისეთ ვაჟბატონების მოქმედება, რომელნიც ჭორიკანობით სცდილობენ ძალაუნებურად საქმეს მოაცილონ საბრალო ნასესხებ ფულით წამოსული მუშა და ამით ჩააგდონ უმწეო მდგომარეობაში!

გაგრა. 10 ნოემბერს. იოლა.

## როდემდის?!

ამას წინად ,,სახ. ფურცელში“ (№ 141) ეწერა: „კავკავის სკოლის გამგეობასა და თერგის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორის ბელიაევის შორის დამოკიდებულება გამწვავებულია“. ამაზე ადრე ცნობა იყო: თერგის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორმა კავკავის სკოლა სამინისტრო სკოლად გამოაცხადა. ახლა კი დამოკიდებულების გამწვავებას გვაუწყებენ. ჩვენ არ ვიცით, რა ზომები მიიღო საზოგადოების გამგეობამ ამის გამო. საკვირველია, რომ ბ. ბელიაევი უმაღლესად დამტკიცებულ კანონსაც რომ არარაფრად აგდებს! ვერ გაგვიგია, რის ბრალია ასეთი მოქმედება? ნუ თუ მეტის მეტი ერთგულებისა? საზოგადოებას უკვე მოეხსენება მიმდინარე წლის ივლისში დამტკიცებულ ახალ სასკოლო კანონის თაობაზე. უმაღლესად მოწონებული და დამტკიცებული კანონიც აღარ ეყო ბ-ნ ბელიაევს. ახალი კანონის ძალით კერძო სკოლებში საზოგადო განათლების საგნების სწავლება ნება-დართულია სამშობლო ენის შემწეობით და რუსული ენა, სიტყვიერება, ისტორია და გეოგრაფია რუსეთისა ისწავლება რუსულის ენის დახმარებით. ვითომ ცოტა თავისუფლება მიენიჭათ ძო სკოლებს წინანდელზე შედარებით. გულწრფელად გავიხარეთ, მაგრამ თურმე, ჩვენი სიხარული ნაადრევი იყო. ჩვენ რა ვიცოდით, თუ ბ-ნი დირექტორი თერგის ოლქის სახ. სკოლებისა ამ კანონს თავისებურად განმარტავდა და თავისი საქციელით ერთ ძველს მივიწყებულს რუსულს ანდაზას მოგვაგონებდა: Законъ, что дышло, куда повернешь, туда и вышло. (რუსული ანდაზაა, უდრის შემდეგს: კანონი ქოთანია, საითკენაც გინდა, იქითკენ გამოაბამ ყურს. ჩვენ გვეგონა ეს ანდაზა მხოლოდ ვრცელ ლექსიკონებში ინახებოდა შთამომავლობისათვის ძველი ნეტარი დროის მოსაგონრად. მაგრამ სინამდვილე სხვას გვეუბნება. სჩანს ბ-ნს ბელიაევს დიდი სურვილი აქვს დაწინაურებისა და ამიტომ უმაღლესად დამტკიცებულ კანონსაც არად აგდებს. ნუ თუ ახალ კანონებსაც დიდი ჩხუბით და დავიდარაბით უნდა ვღებულობდეთ. ბელიაევის მოქმედების გამო ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა საერთო კრებაზედაც წამოსცდა სიტყვა ორ-სამ ორატორს, მაგრამ მალე მისწყდა ლაპარაკი. მიზეზი არ ვიცით. ჩვენის აზრით კი საჭირო იყო ყველას გაეგო ეს ამბავი, დღეს ყველამ უნდა გაიგოს, თუ რამდენი ბრძოლა, რამდენი ტყუილ-უბრალო ხარჯი ეჭირდება წ. კ. გამ. საზ. გამგეობას, რამდენი დაბრკოლების გადალახვა ერთი უბრალო სკოლის გასახსნელად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ამ ჟამადაც, როგორც საქმეს ეტყობა, სათავეშივე დიდი ენერგიული ბრძოლა დასჭირდება საზოგადოებას და, იმედია, უკანასკნელი მედგრად შეებრძოლება, რადგანაც გამარჯვება უთუოდ ჩვენ დაგვრჩება. კანონი უმაღლესად მიღებული და დამტკიცებულია. ბ-ნი ბელიაევი რომ ბრძანებს ეს სკოლები სამინისტროსიაო, მაშ რისთვის ინახავდა ჩვენი საზოგადოება ამ სკოლებს თავისი ხარჯით, რისთვის ღებულობდა იგი ყველი კერძო შემთხვევისათვის განსაკუთრებულ ნებართვას, რისთვის ეძებდა მასწავლებლებს, სადაც ჰყავს თავისი მეთვალყურე და სხვა და სხვა? არა ბ-ნებო, ეს დაცინვაა პირდაპირი და ამ დაცინვას ჩვენც პირდაპირ და ძალუმად უნდა შევებრძოლოთ. დავუმტკიცოთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ წ. კ. საზ. სკოლებს პატრონი ჰყავთ და მათი სხვის-მიერ დაპატრონება „ჯერ-ჯერობით მაინც“ ნაადრევია. ეს ფაქტი სამწუხაროა ყოველთვის, მაგრამ განსაკუთრებით დღევანდელ მომენტში. დღეს სხვა დროა. ეს შეგნებული უნდა ჰქონდეს ყველას და თვით ბელიაევსაც, მაგრამ რას გვეუბნება სინამდვილე?!... მოთმენა ჩვენი აზრით მეტია, უფრო გავათამამებთ ჩვენს მტერ-მოყვრებს. რო კიდევაც მოვითმინოთ,—როდემდის?!

მ. ა.

## სტუდენტი.

გულის ფანცქალით დარეკა მან ზარი მოწყენით გამომზირალ კართან და გაჩერდა:

— ვაი თუ არც ამასა აქვს,—გაუელვა თავში.

— ვინ გნებავთ?—დაეკითხა ღრეჭით კარებში ბრუციანი ქალი.

— სტუდენტი შინაა?

— აა! შებრძანდით,—და დამცინავი ღიმილით მიუთითა კარებზე.

სტუდენტმა კარები შეაღო; იგი ჯერ გაკვირდა და შემდეგ სიცილი აუტყდა: ცარიელ ოთახში ერთად დაგროვილ ლოგინსა და წიგნებზე ძველ პალტოში შეფუთნული ამხანაგი ვანო იჯდა. მშვიდი, დაფიქრებული თვალები მიაპყრო მოსულს.

— ეგ რა დაგმართია, ბიჭო?

— ის, რაც სხვა და სხვა სახით ყველას ემართება ხოლმე,—ფილოსოფიური სიმშვიდით უპასუხა დამჯდარმა.

— ერთი შენ თავს დახედე, რასა გევხარ; თითქო კრუხი კვერცხებს დასჯდომიაო...—სიცილით უთხრა მოსულმა და პალტოში ხელი წაავლო.

— ნუ მიშლი... მე ვფიქრობ,—ნაძალადევი სიდინჯით უპასუხა ვანომ, მაგრამ ველარ მოითმინა და ზე წამოიჭრა.

— შენ კი ნუ იცინი, ამხანაგო,—ათრთოლებული ხმით ამბობდა იგი,—წარმოიდგინე, რა მდგომარეობაში ვარ: ერთი კაპეიკიც აღარა მაქვს; ოთახში თვე გამითავდა და მერეკებიან... უფულოდ ოთახს სად ვიშოვი? დიასახლისმა ყველაფერი წამართვა ოთახიდან... გუშინ და გუშინწინ სულ ჩამოვირბინე ამხანაგები: არავის ფული არა აქვს, აღარც დასაგირავებელი მაქვს რამე: ეს პალტო წავიღე და არ მიიღეს. იმედი დავკარგე... წუხელის მოვედი და იატაკზე დავიძინე. დილით დიასახლისმა შემოიჭყრიტა და მკითხა: როდის გადაბრძანდებითო;—როდესაც ოთახიდან მეც გამიტანთ-მეთქი—ვუპასუხე. მე მეტი აღარ შემიძლია; სულ დამეკარგა ენერგია... აღარც სიცოცხლის ინსტინქტი მაქვს და აღარც ოთახი მინდა... ახლა, რომ მიმიყვანო უფსკრულთან და მითხრა-გადავარდიო,—გადავარდები...

— ფულს როდის მოელი?

— ვინ გამომიგზავნის! სახლიდან კაპეიკსაც არ ვღებულობ; გაკვეთილებით ვცხოვრობდი; ახლა ისიც დავკარგე და აჰა, აქამდე მოვედი. გუშინ შუადღის აქეთ პირში ლუკმა არ ჩამიდვია...

— მერე, აქ რას უზიხარ, კაცო?

— ვფიქრობდი.

— რა უნდა გეფიქრა?

— ვფიქრობდი — სიცოცხლე ღირს, თუ არა.

— და მერე შენ როგორ გადასწყვიტე?--სიცილით დაეკითხა მოსული.

— არ ღირს.—უპასუხა ხელ-ახლა დაფიქრებულმა ვანომ.

— ეგ რა სულელური აზრები მოგსვლია, ბიჭო, თავში. ორი დღეა მეც უფულოდ ვზივარ, მაგრამ ცხვირი არ ჩამომიშვია. თავიდან გამოირეკე ეგ ფილოსოფია; ქუდი დაიხურე და წამო: ვიშოვით რასმე.

—

გზაში მისაუბრობენ მეგობრები:

— გახედე ეგერ, რა ლამაზი გოგო მიდის და იმის შემხედვარე კაცი ამბობს სიცოცხლე არ ღირსო?

— ნეტა შენ, რომ გოგოების სილამაზეზე ფიქრი შეგიძლია. მე კი იმ მსუქან გოგოს რომ ვხედავ, ჩემი მშიერი კუჭი მაგონდება...

— და ცალი თვალი მაინც გააყოლე ხომ?

— სილამაზისთვის კი არა,—სიმსუქნისათვის.

ცოტა ჩუმად გაიარეს.

— აბა რად ღირს ჩემი ცხოვრება: თუ სილამაზეზე და მაღალ იდეებზე ვიფიქრე, კუჭი გამიხმება... წარმოვიდგინოთ სწავლას თავი დავანებე და თავის რჩენაზე ზრუნვას შევუდექი; მაშინ ხომ ნელ-ნელა ყოველ დღიურობის ტლაპოში ჩავიძირები. აბა რა სახარბიელოა ასეთი ცხოვრება? გამოსავალი არსაითაა...

— გამოსავალის მეტი რაა: გაკვეთილებს გიშოვით და ხელახლა შეგიყვარდება სიცოცხლეც და ლამაზი გოგოც...

ბაღში მიდიან.

— მე აღარ შემიძლია. შენ ეძებე, თუ გინდა და მე ენერგია დამეკარგა. ჩემთვის სულ ერთია დღეს მოვკვდები შიმშილით თუ ხვალ, მე აქ დავჯდები... შენ წადი და ეძე...—და ამ სიტყვებით დაეშვა იქვე მდგომ სკამ-ლოგინზე.

— ღმერთო ჩემო! ნუ სულელობ, კაცო!.. აქე, წამო... ჩაის დაგალევიებ და მერე სხვა ჰანგზე დამიწყებ სიმღერას,—და ძალად წამოაყენა ნება-დაკარგული ამხანაგი.

—

რამდენიმე დღის შემდეგ სუფთა ლოგინში გამოიღვიძა ვანომ და სიამით გაიღიმა:

— ოთახიც მაქვს, მოწაფეებიც მყავს, არც ჩაი მაკლია და არც სადილი... ნელა გაახმორა...—გოგოების სილამაზესაც ვგრძნობ და ზაფხულის მათრობელ სუნსაც... უჰ, რა კარგია სიცოცხლე!—შეჰკივლა და ცოცხლად წამოხტა ლოგინიდან.

ალ. ცირეკიძე.

## სოფრომ მგალობლიშვილის წერილი.

(წერილი რედაქციის მიმართ).

ბ-ნო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენის გაზეთის „თემის" საშუალებით უღრმესი მადლობა შევსწიროთ მე და ჩემმა სახლობამ „სახალხო ფურცლის" რედაქციას, რომელმაც პატივი გვცა და უსასყიდლოდ დაბეჭდა სამგლოვიარო განცხადება ჩვენი შვილის გიორგის (გოგი) გარდაცვალებისა.

აგრეთვე მადლობას ვსწირავთ „თემის" რედაქციას, ძვირფასს მწერალს—ლექტორს გრ. რობაქიძეს, ექიმს ი. გომართელს და ყველა იმათ, ვინც პირადად, წერილით თუ დეპეშით სამძიმარი გამოგვიცხადეს ჩვენი შვილის გარდაცვალების გამო და მით გვანუგეშეს.

ს. ზ. მგალობლიშვილი.

22 ნოემბ. 1914 წ.

## ქართულ თეატრის აღსადგენად.

გულმა მწარე ტკივილი იგრძნო თეატრის დაწვის გაგონებაზე. სევდა და მწუხარება იცავს მთელ არსებას, როდესაც ღრმად ვუკვირდებით მომხდარ უბედურებას. ჩაჰქრა ობოლი ნაპერწკალი ღარიბ ქართველ კულტურის კერაზე, და ეს მაშინ, როდესაც ჩვენ ხალხს ასე ძლიერად ესაჭიროება ხელოვნების ტაძარი, როგორც გამოფხიზლების და განვითარების იარაღი.

დიდია უბედურება, მაგრამ თვით ეს გარემოება გვავალებს მხნედ და გულმაგრად შევხვდეთ მას. ჩვენ გვწამს, ყოველი ჩვენი ხალხის ჭირისუფალი, მისი კეთილისა და წარმატების მსურველი, სადაც და რა პირობებშიც უნდა იყოს, მთელი თავისი ძალ-ღონით ეცდება დანაკლისის შევსებას. ამ მხრივ განსაკუთრებული მოვალეობა აწევს ქართველი ხალხის დემოკრატიის შეგნებულ ნაწილს. ყველა, ვინც ჩვენი ხალხის წინმსვლელობის, მისი საუკეთესო მომავლის მონატრულია, ვალდებულია დაუყონებლივ მუყაითად შეუდგეს ამ საქმეს. ჩვენ გვწამს: ქართველი დემოკრატია, რომელსაც საკმარისად აქვს შეგნებული თავის ისტორიული მისსია და ბეჯითად მიაბიჯებს წინ თავის მიზნის განსახორციელებლად მთელი თავის ენერგიით დაეხმარება ქართულ თეატრის აღდგენას.

ჩვენ - ციმბირის ერთ გადაკარგულ კუთხეში ქართველ გადასახლებულთა ერთი ჯგუფი ვგზავნით თქვენს პატივცემულ რედაქციაში შეკრებილ 8 მან. 17 კ. დანიშნულებისამებრ გადასაცემად როგორც მცირედს, მაგრამ სულითა და გულით მოძღვნილ წვლილს. გადასახლებულნი: **პავლე საყვარელიძე, კოლა დემეტრაშვილი, იოსებ ელერდაშვილი, კირილე ნიკოლეიშვილი, სამსონ და გრიგოლ ცინცაბაძეები, დათიკო და ვალენტინა დვალი, ვლადიმერ დუმბაძე, ქრისტეფორე გორგაშიძე, მიხეილ პოლოვნიოვი, შმაგი ქობალავა, ვანო როსტომაშვილი.**

**ს. უგალოვო** (ვერხოლენსკის მაზრა, ირკუტსკ. გუბერნია)

## ახალციხის უკანასკნელ ომიანობიდან.

(წერილი ახალციხიდან.)

1853 წელს, გიორგობისთვის პირველ რიცხვებიდან ქალ. ახალციხეს ალყა შემოარტყეს ოსმალთა ჯარებმა. ოსმალოები დაბანაკებულნი იყვნენ სოფ. სხვილისის (ახალციხის მახლობლად) მიდამოებში და მოღნისის მთაგორებზე, სადაც დადგმული ჰქონდათ მათ თავიანთი მამაპაპური ზარბაზნები და ციხეს უშენდნენ. მთელი ორი კვირის განმავლობაში ხშირ-ხშირი შეტაკებები ხდებოდა ახალციხის დამცველ ჯარსა და თათრებს შორის. რუსის ჯარი, ქართველთა და ოსთა მილიციები ერთად მოქმედებდნენ, თუმცა ყველა ამათი რიცხვი თათრის ჯართან შედარებით, მცირე იყო. ოსმალები, დიდი ბრძოლის წინა დღეებში, შეშინდნენ და გამოიქცნენ ახალციხიდან. 13 ნოემბერს, ღამე, რუსებს მაშველი ჯარი მოუვიდათ და 14-ს, რიჟრაჟზე, სხვილისის მიდამოებში მოხდა დიდი სისხლის ღვრა, რომლის შედეგად იყო ოსმალთა დამარცხება და მათი განდევნა თავიანთ ძველ საზღვრებისაკენ.

ამ ომიანობაზე გამოუთქვამთ აქ მოყვანილი ლექსი:

ახლა დავაბათ, ბიჭო, ფერხული
შევამკოთ ჯარი გამარჯვებული!...
შევასხათ ქება ჩვენსა სპასპეტსა
ვაჟკაცობითა ყველაზედ მეტსა!
ჩვენი ივანე, მალხაზის შვილი, *)
ვაჟკაცობისთვის არის შექმნილი;
დილაზედ ადრე დაიწყო ჯარი,
წინ წაიმძღვარა წმიდაი ჯვარი;
რუსთ მოუძღვოდა ცხენზედ მჯდომარი
შვენოდა ვითა ქორი მწყაზარი.
როცა მოვიდა ფოცხვის ნაპირსა,
და დაინახა ჯარები მტრისა—
ცხენი გაქუსლა და დაგვირბინა.
გვაჩვენა ყველას თათრების ბინა.
რუსებს უბრძანა: დაჰყივლეთ ურა!
აბა, გაჩხუპეთ წყალი ფოცხურა!
მერე ქართველებს დაგვიქართულა:
გამოიჩინეთ გმირული ძალა!
ვინც არ მივიდეს, გვითხრა მან, წინა
აბა ის კაცი ღმერთმა არცხვინა!...
დავჰყივლეთ "ურა", ჩავერიენით
და ოსმალთ ჯარში გავერჩიენით...
ბრძოლისა ველზედ სისხლი იღვროდა,
შესაზარელი კვნესა ისმოდა...
მოსწყდა, ჰოისრა ოსმალთ რაზმები,
და აუტირდათ მათ ცოლ-დედები.
ოსმალო დარჩა დამარცხებული
და ჩვენი ჯარი გამარჯვებული.

მხატვარი გიორგი **ხმალაძე.**

*) გენ. ივანე მალხაზის-ძე ანდრონიკაშვილი. გ. ხ.

## ნიკ. მარრის ახალი შრომა.

რედაქციას მოუვიდა ოთხი ბროშიურა აკადემიკოს ნ. მარრისა. მის უკანასკნელ ნაშრომთა შორის უფრო მეტს ყურადღებას იქცევს „ძველი აღთქმის ვერსიის ფრაგმენტი ეჩმიაძინისა", რომელიც გამოცემულია მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის განკარგულებით.

აქ ჩვენი დაუღალავი მუშაკი გვამცნობს, რომ ეს ფრაგმენტი ადასტურებს იმ ქართულ თარგმანის ვერსიის გავრცელებას, რომელიც ნახულია ათონის მონასტერში და ეკუთვნის 978 წელს. როგორც დაჰკვირვებია აკადემიკოსი, ამ ფრაგმენტს როგორც მსგავსება, ისე განსხვავებაც ერთმანეთში ბევრი აქვს. ათონის ფრაგმენტი აქამდე განმარტებით იყო, მით ძლიერ მცირედ რომ გებლია ლექსიკოგრაფს საბა ორბელიანს; ამასთან თითქო,—ამბობს ნ. მარრი, უყურადღებოდ მიტოვებული გახდა მე-18-ე საუკუნეში ქართულ ბიბლიის გამომცემელთაგან.

ეჩმიაძინის ფრაგმენტი ხახხან უფრო არქაიულ ფორმებს იძლევა ვიდრე ათონისა, დანარჩენში კი უახლოვდება ყოველივეს, რაც გვხვდება ათონის ფრაგმენტში, ანუ 1743 წელს მოსკოვში გამოცემულ ბიბლიაში.

მეორე ბროშიურა შეეხება ტეკორის ტაძრის წარწერის დათარიღებას. ამ წარწერას, რომელიც ითვლებოდა სომხების უძველესს აქნობამდე ცნობილ წარწერად, სომხების მწერლებთაგან ოვსეფიანი, ალიშანი, კონიანი აკუთვნებდენ მე-VII-ე საუკუნეს.

ნ. მარრი მოსაზრებათა მთელი რიგით გვიმტკიცებს, რომ ესწარწერა ეკუთვნის არა უგვიანეს 10 წელს.

მესამე ბროშიურა ეხებაიტყვა „ანაპას"-ს წარმოებას აფხაზი ენიდან: ნიშნავს ხელებს. და მეხე კიდევ შეიცავს ლინგვისტიკურ ახსნას ეთნიურ ბერძნულ ტერმინის „ჰოისპურგიანოი".

ა. დ.

## ნანახი და ნასმენი ომიანობის დროს.

გ ზ ა შ ი.

ლონდონში მოვედით ღამე და დავბინავდით სასტუმროში. მერე დილით წავედით რუსის კონსულთან, სადაც უნდა გამოვცხადებულიყავით 11 საათზედ დილით. ამ ვეებერთელა ქალაქში ისეთ დიდ წესრიგს ვგრძნობდი, რომელიც არსად მიგრძნია დასავლეთ ევროპაში.

ლონდონის რუსის კონსულის ასეთივე განსხვავება ეტყობოდა იქაური გენერალური კონსული,—ნამდვილი ჯენტლმენი (აკვირვებდა თავის ზრდილი და დინჯ ყურადღებით. სულ 6 დღე ვიყავი ლონდონში და, რაც უფრო ვაკვირდებოდი იქაურობას, იმდენად უფრო მიზიდავდა იგი, სადაც კაპიტალისტურ სიმწიფეს ყველა თავისი უკუღმართი შედეგებით ვერ აღმოეფხვრა ვერც ფიქრობა, ვერც სარწმუნოება და ვერც ჩვეულებანი ამ დიდებული ერისა. 8 სექტემბერს დაგვირიგეს ბილეთები ქრისტიანიამდე და იმავე დღეს გავემგზავრეთ რკინის გზით გლასგოვში, საიდანაც გემით უნდა გადავსულიყავით ბერგენში.

დილის 10 საათზე ჩავედით გლასგოვში, სადაც ღამის 10 საათამდე ვისხედით სადგურზე დაველოდით იქაური რუსის კონსულის განკარგულებას. სწორედ 10 საათზე საღამოს მოვიდა კონსული, ერთი ინგლისელი, რომელმაც რუსული არ იცოდა, როგორც ამ სტრიქონების დამწერმა ჩინური.

ჩვენ მივცვივდით მას ამდენი ხნის ლოდინით დაქანცულები აშკარა საყვედურით თარჯიმანი ქალის საშუალებით. ძლიერ შეწუხდა იგი და შემოგვფიცა, რომ მას არავითარი ცნობა არ მიუღია ლონდონიდან და სრულიად არ გაუგია უკანასკნელ ხანამდე ჩვენი გლასგოვში ჩამოსვლა. იმ წამსვე გადაგვიყვანა ერთს დიდ სასტუმროში, თითონ წამოიღო ერთი ჩემი თანამგზავრი ფრანგი ქალის საკი და დაგვაბინავა.

მეორე დილით 6 საათზე გავეშურენით ნავთ-სადგურისაკენ და ჩავსხედით ერთს ნორვეგიელ გემში, რომელიც არ დამავიწყდება თავის სიბინძურით, მოსამსახურეების სიბრიყვით და უცნაური ექსპლოატაციით, და რომელსაც ეწოდებოდა „სირიფი". ეს გემი ისეთი ძველი და პატარა იყო, რომ სრული დარწმუნებული ვიყავ, თუ რომ გერმანელების ნაღმების აფეთქებას ავსცილდებოდით, სადმე დიდი ღელვა, რომ შეგვხვედროდა გზაში, ან გადააბრუნებდა მას, ან გავირიყებოდით. ცოტა იმედი მომეცა, როცა ამ გემზე ამოვიდა შალიაპინი თავის ცოლ-შვილით. ვიფიქრე: თუ ჩვენ, ამას მაინც არ გაიმეტებდენ დასაღუპავად! მთელი ორი დღე და ღამე ვისხედით ამ გემზე, სადაც არც საწოლი გვქონდა, არც საჭმელი რიგიანი, და თუ რასმეს მოვითხოვდით, ყველაფერი მამასისხლად იყიდებოდა. ბერგენში მოვედით 10 საათზე 11 სექტემბერს და იმავე დღეს ერთი ნაწილი გავემგზავრეთ ქრისტიანიისაკენ. საღამოს 8 საათზე მოვედით ქრისტიანიაში, სადაც სადგურზე დაგვიხვდენ საკონსულოს გამოგზავნილი პირნი, რომელთაც ჩამოგვართვეს პასპორტები და რამდენიმე ქალი გაგვგზავნეს „ოტელ ნაციონალში". მეორე დილით 11 საათზე გამოვცხადდით საკონსულოში, სადაც დაგვიბრუნეს ჩვენი პასპორტები და დაგვირიგეს ბილეთები სტოკჰოლმამდე.

ქრისტიანია, როგორც საზოგადოდ ნორვეგია, ძრიელ ლამაზი ქალაქია, ერთობ სუფთა და სავსე მცენარეულობით. თავისი მშვიდი მოძრაობით ეს ქალაქი უფრო სოფელს მოგაგონებთ, ვიდრე სატახტო ქალაქს.

იმავე დღეს გამოვედით ქრისტიანიიდან და მეორე საღამოს მოვედით სტოკჰოლმში, სადაც სადგურზე მოგვეგება რამდენიმე პირი ერთს მათგანს ეჭირა ხელში ფიცარ-მიკრული ჯოხი, რომელზედაც ეწერა „რუსკაია პომოშჩ" (რუსთა დახმარება). ჩვენც მივაშურეთ მათ. რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა ჩემთან ერთი სადად გამოწყობილი, გამხდარი ქალი და მკითხა ჩემი ვინაობა. რომ გაიგო ქართველი ვარ, ძლიერ იამა. ერთი ახალგაზრდა გაგზავნეს სასტუმროს დასაქირავებლად. სანამ ყმაწვილი დაბრუნდებოდა, ჩვენ, რამდენიმე პირი, სადგურზე დავრჩით და გავერთეთ მუსაიფში.

— მე ვყოფილვარ თბილისში, მითხრა ამ პირველად ჩემ მიერ ნახულმა ქალმა,-და გულით მიყვარს ქართველები. ჩემი ძმა აქაური ელჩია, ნურაფრის ნუ გეშინიათ, ყველაფერს მოგიხერხებთ, რომ დაბრუნდეთ თქვენს მშვენიერს სამშობლოში.

— ჩვენ ქართველებსაც გვიყვარს რუსები, განსაკუთრებით ისინი, რომელთაც ესმით ჩვენი ეროვნული ფსიხოლოგია და სიმპატიური თვალით გვიცქერიან.

— ჩვენ ეხლა ყველანი ძმები ვართ ამ საერთო მწუხარებაში, რომელსაც განიცდის მთელი რუსეთი,-მომიგო მან.

— ქართველებს ყოველთვის დაუმტკიცებიათ რუსეთის ომში ჭეშმარიტი ძმობა რუსებისათვის და ეხლაც დაუმტკიცებენ მას, იყავით დარწმუნებული,-ვუპასუხე.

ამ ლაპარაკში გაგზავნილი კაციც დაბრუნდა და გამოგვიცხადა, რომ აქვე სადგურის ახლო დაიჭირა ოთახები სასტუმროში, სადაც მიგველიან.

ჩვენც წავედით ბინისაკენ. მეორე დღეს მივიღეთ ბილეთები და გავემგზავრეთ რკინის გზით ლულეოში, საიდანაც გემით უნდა გადავსულიყავით ფინლანდიის საზღვარზე ტორნეოში. დიდი ტანჯვით და ვაივაგლახით მივაღწიეთ ტორნეომდე და იქიდან რუსების ჟანდარმებმა გაგვისტუმრეს რკინის გზით პეტროგრადში, ორი დღე ვიყავით მატარებელში. პეტროგრადში რომ მოვედით, ღამის 10 საათი იყო. სადგურზე ჩემს თანამოგზაურთ თითქმის ყველას დაუხვდათ თავიანთი თანამემამულენი ფიცარ-გაკრულ ჯოხით ხელში, რომელზედაც ეწერა სხვადასხვა წარწერა: „რუსკაია პომოშჩ" „პოლსკაია პომოშჩ" (პოლონელთა დახმარება), „ევრეისკაია პომოშჩ" (ებრაელების დახმარება).

რაღაც მწარედ იგრძნო ჩემმა გულმა, რომ მათ შორის არ ერია „ქართველთა დახმარება". ჩემს თანამგზავრ ქართველთან ერთად ავიღე საჩქაროდ ეტლი და გავწიეთ სასტუმროსაკენ. მეორე დილით მოვნახე ჩვენი დეპუტატი ვარლამ გელოვანი, რომელიც გულწრფელი თანაგრძნობით მომექცა და გამომართვა ადრესი. იმ საღამოსვე მოვიდა ჩემთან მისი მეუღლე ქ.-ბ. ნინო ნამდვილი მოქალაქობრივი გრძნობებით გამსჭვალული ადამიანი, რომელიც მთელს თავის ენერგიას და დროს ანდომებს დაჭრილთა და მეომართა დახმარებას და გადამიყვანა თავის სახლში. ამგვარად სამი კვირის მგზავრობის შემდეგ მოვაღწიე რუსეთამდე. ჩვენს მოგზაურობაში ბევრი რამ ტრაგი-კომიკური იყო, რომელსაც ვსტოვებ, რადგან იგი უფრო ჩემს თავ-გადასავალს შეეხება და არა საერთო მგზავრობას.

კატო მიქელაძის-ქალი.

## მცირე განმარტება.

გაზეთ „თემის" მე 194 №-ში მოთავსებულია წერილი შემდეგი სათაურით „გულშემატკივრობაც ასეთი უნდა". წერილის ავტორი „აქაური ქართველის" ფსევდონიმით აუწყებს საზოგადოებას ვითომც ქ. შ. წ. კ. გ. საზ. გამგეობას მოესპოს სტუდენტ კანა-ფშაველისთვის სტიპენდია. განვაცხადებთ, ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია. კანა ფშაველი უკლებლივ ღებულობს ხვედრ სტიპენდიას. გამგეობას მისთვის გადაწყვეტილი დახმარება არ მოუსპია.

წ. კ. გ. საზ. მდივანი

ვ. ბურჯანაძე.

— —

„თემის" რედაქცია ძალიან სწუხს, რომ მისმა შემთხვევითმა კორესპონდენტმა შეცდომაში შეიყვანა როგორც იგი თვითონ, აგრეთვე მკითხველი საზოგადოებაც. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი გრ. დიასამიძე.


## ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიას ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო. ტელეფონი № 590.

სტაციონური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრები და საერთო ოთახები. განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმი სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი | მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ. ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | მაღალაშვილი გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. |
| | ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე), 11—12. |
| | კიკალიშვილი პ. ლ. (ყოვ. დღე,) 11½-2. |
| ქირურგიული სნეულებანი | მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი (ყოვ. დღე) 11½—12½. |
| | მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. |
| | ფირადოვი რ. გ. (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და სამშ. სნეულებანი | ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირადოვისა ლ. (ყოველ დღე) 11—12. |
| | თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2. |
| | მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. |
| ბავშვთა სნეულებანი | კიკალიშვილი პ. ლ. (ყოვ. დღე.) 1½—2. |
| | მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. |
| | ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე,) 11—2. |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ. და შაბათ. 12—1. |
| | ფონდოევი გ. ს. (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი ვ. ს. (ორშაბ. ოთხშ. და პარასკ.) 2—2½. |
| [illegible] | დიასამიძე ა. ნ. (ყოველ დღე) 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606", „914" და წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა მედავათიანი საფასურით.



„ხარებობის"

„ბლაგოვეშჩენსკოე"

კოოპერატიული სალიანელ მეთევზეთა შემნახველ - გამსესხებელი ამხანაგობა.

თბილისი, პუშკინის ქ. № 17.

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას რომ

## უკვე დაიწყო ვაჭრობა

ყოველ გვარ თევზეულობისა.

მყიდველთ შეუძლიანთ მუდამ მიიღონ მაღაზიაში: მოხარშული ცხელი დოში, ცალძვალა, იანი, და ქიპა.

გამომდგარი ზურგიელები: დონისა და ქართული. სრულებით უმარილო მსხვილი მარცვლოვანი ახალი ხიზილალა „ქიტკა", საუკეთესო გემოვნების ხიზილალა პარკისა და ბოჭკისა.

მუდამ დღე იყიდება:

ახალი თართი, ზუთხი და ლოქო

ვაჭრობა სწარმოებს როგორც ბითუმად, (პარტიით) ისე წვრილად.

ამხანაგობის მიზანია, თავისი საკუთარი საქონელი გაჰყიდოს პირველ ხელში მომხმარებელთა და მიაწოდოს მათ ახალი და სალი თევზეულობა ფრიად ნაკლებ ფასებში, მაგალითად, 20 პროც. და მეტით ნაკლებ, ვიდრე თბილისელ მეთევზეთაგან, რადგანაც თვით ამხანაგობა ცდილობს, დაიმსახუროს მომხმარებელთა ყურადღება. იმედია, საზოგადოებაც არ დასტოვებს უყურადღებოდ ამ ნორჩს კოოპერატიულ დაწესებულებას.

პატივისცემით გამგე საწყობისა და მაღაზიისა ზურაბ ფარეშაშვილი.



ხელოვნურად შეზავებული



სამკურნალო და ხილეულობის წყალი

მიტროფანე **ლაღიძე** და ამხ.

მზადდება საუკეთესო ხილეულისწვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

## გემო და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 411. ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 5.